



მ ნ ა თ ო ბ ა



ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. ჟურნალი

№ 2.

23 ნოემბერი 1908 წ.

ფასი 10 კაპ.

შინაარსი: მეთაური.—სად არის სიმართლე? ონისა.—უტოპისტები და მარქსის მოძღვრება, ივ. ბომართელისა.—შინაური ქრონიკა.—წერილი მოსკოვიდან.—კვირიდან-კვირამდე.—წერილი ავსტრიიდან მ. მბალობლიშვილისა.—წერილი გურიიდან.—შემოდგომა (ლექსი), დ. თურდოსპირელისა.—მეფე შიმშილი, ლეონიდ ანდრეევისა, თარგმანი განდევლისა.—თეატრი და მუსიკა.—მწერლობა და მწერლები.—ბანცხადება.

სახელმწიფო ღუმის ვითარება.

თფილისი, 23 ნოემბერი.

ამ ორიოდ წლის წინად სახელმწიფო ღუმის გახსენება ცხოველ ინტერესს იწვევდა ხალხის თვით ფართო მასსაში, დღეს კი მადლობელი უნდა დარჩეთ, თუ ხალხის თვით შეგნებულმა ნაწილმა მოქნარებით არ გიპასუხათ. დღეს ღუმის საქმეებზე მწერალ-ჟურნალისტმა მკითხველებსაკენ რომ გზა იპოვოს, უმაღლესი უნდა გააკეთოს უხალისობა-გულგრილობა—აპატიისაგან მოქსოვილი სქელი ფარდავი. ვერაფერი გულ-წარმტაცია ეს მუშაობა, მაგრამ მაინც განვაგრძობთ საქმეს, რადგან მტკიცეთა გვრწამს ამის სიკეთე.

რა თქმა უნდა, დღეს სახელმწიფო ღუმელში არაფერი სენსაციური არა ჰხდება, იქ ვერა ხედავთ ქვიციანს გადაბარუნებულ მოვლენებს, მაგრამ ის კი ექვს გარეშეა, რამდენადღეს ღუმელში ჰხდება ფრიალ მნიშვნელოვანი ამბები, რასაც არსებითი გავლენა აქვს სახელმწიფოს მთელ პოლიტიკურ ვითარებაზე.

მეორე საპარლამენტო სესია შესანიშნავია იმით, რომ ეხლა საბოლოოთ ირ. ვევა, ანუ კიდევ გამოირკვა მესამე ღუმის მთელი მნიშვნელობა და აუკარგიანობა. ჩვენ აქ სახეში არა გვაქვს ღუმის გარეგანი, ასე ვთქვათ ფორმალური მხარე ვინ არ იცის, რომ თუ საზოგადოების, აგრე წოდებული, „კეთილ გონიერი“ ნაწილი პირველ ორ სახელმწიფო ღუმელს, „ხალხის პრისხანებისა“ და „ხალხის შურის ძიებისა“ ღუმელს, უკეთუებდა ცოდნა-გამოცდილებსა და „საკანონმდებლო მუშაობის უნარის“ უქონლობას, სამაგიეროთ ეს მესამე „საქიანობის“ ღუმელ მთელ თავის ცოდნასა და უნაქს იმაში იჩენს, რომ მთავრობის აუკოლ-დამყოლოთ ხდება, ბიუროკრატიულ წყობილებას ეფარება და თუ მთავრობის კანონ-პროექტებში შესწორება-დამატებანი შეაქვს, ეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ იგინი უფრო გააუარესოს, მათ სრულიად ამოჰხადოს ის ლიბერალური სულის ნატამალი, რაც

ქ. თფილისში 16 ნოემბრიდან გამოდის ყოველ-კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო სურათებიანი ჟურნალი

„მ ნ ა თ ო ბ ი“

ჟურნალის ფასი:

თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., სამი თვით 1 მან.; საზღვარგარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მ.; 16 ნოემბრიდან წლის დამლევამდე 60 კ.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში და ქ. შ. წ.-კით. გამაგრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან.

რედაქციის ადრესი: Красногорская ул. д. № 16.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Редакция „Мнатоби“, Красногорская ул. д. № 16, Георгию Андуканаровичу Чхеидзе.

წრეულს „ნაკადულის“ რედაქცია ხელის-მომწერთ აძლევს პრემიათ მარკ. ტვენის

„ტომის თავგადასავალს“

თაი. გრ. ყიფშიძისა. ვინც სრულ ფულს არ შემოიღებს „ნაკადულისას“, მათ არ გაეგზავნებათ.

მთავრობას იქ შეტანილი ჰქონდა სახალხო მოძრაობის ზე-გავლენით. ასეთ „პარლამენტის“ შემხედვარე მთავრობა ზოგჯერ თვითონვე წინ უსწრობს კანონმდებელთა განზრახულებას, მას თვითონ შეაქვს თავის პროექტში „სათანადო“ შესწორებანი. მთავრობისაგან შეტანილი კანონ-პროექტი „განსაკუთრებულ მდგომარეობათა“ შესახებ, თუ ის განხორციელდება—თვით კადეტების ცნობილ იურისტ ვ. მ. გესსენის აზრით—კიდევ უფრო გააუარესებ არსებულ მდგომარეობას. პიროვნების ხელ-შეუხებლობის კანონ-პროექტის განმხილველ დუმის კომისიიდან ოპოზიციის ზოგიერთი წევრი სრულიად გამოვიდა, რომ უნებური მონაწილე არ გამხდარიყო ხალხის საწინააღმდეგო ზომების მიღებისა. ბეკდვითი სიტყვის თავისუფლების შესახები კანონ-პროექტი—რამდენათაც ის უკვე გამოქვეყნებულ იქნა—მუდმივად, ნორმალურად ჰხდის პრესის იმ მდგომარეობას, რომელიც დღეს არსებობს, „გაძლიერებულ“ თუ „არა ჩვეულებრივ დაცვის“ დროს, ე. ი. პრესის „კეთილდღეობის“ დარაჯათ რჩება ადმინისტრაციული რეპრესიები. მუშათა საკითხისათვის არჩეულ დუმის კომისია შეეცადა „მაუდ ქვეშ ამოედო“ მთავრობის კანონ-პროექტი, რადგან მთავრობა ფაბრიკანტებზე უფრო ლიბერალური აღმოჩნდა, აგრარულ საკითხში ხომ დუმის კომისიამ მთავრობას გადააჭარბა „პირად საკუთრებისა“ და მემამულეების ინტერესთა დაცვით...

ესლა საბოლოოთ გამოირკვა ერთი მეტათ დიდ-მნიშვნელოვანი გარემოება. დუმის ხელმძღვანელ პარტიის, ოქტომბრისტებს, როგორც იცით, არა ჰყვანდა საჭირო, საპარლამენტო უმრავლესობა; ასეთის შესაძენათ იგი გაუთავებლივ ირყეოდა ზომიერ მემარცხენეთა და უკიდურეს თუ „ზომიერ“ მემარჯვენეთა შორის. ესლა ოქტომბრისტები უკვე გადაჭრით შეუკავშირდნ „შავების“ ბანაკს, ცენტრი საბოლოოთ გადაება მარჯვენა ფრთას, და ამ გარემოებას ხილული ბეჭედიც დაესვა ერთ ბანკეტზე, სადაც დუმის თავმჯდომარემ, „მიუდგომელმა“ ბ-ნ ხომიკოვმა და „მგრძნობიერმა“ პურიშკევიჩმა ერთმანეთს ამბორ უყვეს. აღსანიშნავია, რომ თვით მოკადეტე მუსულმანთა დეპუტატებმა და პოლონეთის კოლომ, რომელიც მუდამ კადეტებთან იდგა, ესლა მარჯვნივ დაიწიეს და ზოგიერთ საყურადღებო საკითხებში უკვე მემარჯვენეებს მიემხრნ.

აქამდის კიდევ საფიქრებელი იყო, რომ მესამე დუმა შეიძლება განხორციელდებინა უფლებრივ წყობილების მთავარი დებულებანი, ესლა ასეთი პერსპექტივა, ასეთი მოლოდინი უკვე ყინულზე დაწერილ თამასუქის განაღდებას ჰკავს. დუმის ძალთა ახალი განწყობილება შეუძლებლათ ჰხდის ყოველგვარ „განახლებას“; სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობა ბეჯითად უახლოვდება 17 ოქტომბრის წინათ არსებულ ვითარებას. ამ უკუღმა სიარულს ის ერთად-ერთი, მაგრამ ძვირფასი, მხარე აქვს, რომ ამ გზით იშლება და ბათილდება მუშათ კლასის განმარტოვებული მდგომარეობა; თავიდან

ავცილდება ის გარემოება, რომელიც მთავარი მიზეზი იყო პირველ სახალხო მოძრაობის დამარცხებისა; განვლილ მწარე გამოცდილებებით განსწავლილი პროლეტარიატი გამოსძებნის ახალ ტაქტიკას, იგი მიჰმართავს ძალთა კონცეტრაციის სტრატეგიას და მით უზრუნველ ჰყოფს მომავალ, სახალხო გამარჯვებას.



ს ა დ ა რ ი ს ს ი მ ა რ თ ლ ე ?

(ახლო წარსულიდან)

III

„გმირებს დაეძებს, უყივის ჩემი დაფი და ნაღარა“, ასე შეიძლება ითქვას ის იღუმალი სულიერი განწყობილება, რამაც განმათავისუფლებელ მოძრაობის წინა ხანებას და შემდეგში შეიპყრო პარტიის ერთი ნაწილი, ეგრე წოდებული „ბოლშევიკები“.

მოგვხსენებათ, რომ თვით წმინდა წყლის იდეალისტებისთვისაც, გმირი თავისით, განკერძოებით, ცხოვრების გარეშე, ამა თუ იმ საზოგადოებრივ ძალეების დაუხმარებლივ ვერაფერ საგპიროს ვერ შექქმნის და ვერ განახორციელებს. თავისთავად ცხადია, რომ მარქსისტულ მოძღვრების აღმსარებელნი, ბოლშევიკები, წამყენებულ ისტორიულ მიზნის გასახორციელებელ ბერკეტს მოსძებნიდნ პროლეტარიაში. ხოლო საქმის მთელი სვე-ბედი, მათის აზრით, დამოკიდებული იყო მესვეურებზე, ე. ი. „გმირების“, პროფესიონალურ რევოლიუციონერების უნარზე; და რაკი ყველა „გმირები“ თინაბარი ძალ-ღონისა და უნარის პატრონი არ არიან, საჭირო იყო ყველას, რაც შეიძლება, სისწორი-მიცემოდა თავისი „რანგის“ შესაფერი ადვილი. ბოლშევიკთა პრესაში დაუსრულებელი კამათია ორგანიზაციის გეგმაზე, მებრძოლ დრუჟინების მოწყობაზე, ტექნიკურ გაწვრთნასა და საერთო, სახალხო გამოლაშქრების მომენტის შერჩევა-დანიშვნაზე. პარტიულ ორგანიზაციაში ბოლშევიკები მომხრე არიან უკიდურეს ცენტრალიზაციისა; აქ გრძელი იერარქიული კიბეა, აქ თავიდან ბოლომდე მოხერხებულათ გატარებულია უფროს-უმცროსობის, მორჩილება-ბატონობის სისტემა; მათი ორგანიზაცია ნამდვილი კოპიოა თვითმპყრობელ ბიუროკრატის ორგანიზაციისა. საერთო სანახაობა კი ასეთია: ხალხის მასსას („ბრბოს“) წინ მიუძღვის პროფესიონალურ რევოლიუციონერთა („გმირების“) ორგანიზაცია, ხოლო მოძრაობის ყველა ძაფები მოგროვილია ცენტრალურ კომიტეტში („გენერალური შტაბი“), სადაც ფაქტიურათ ბატონობს უძლიერესი პიროვნება („გმირთა გმირი“), რომელსაც ხელთ უპყრია დირიჟორის ჯოხი. სხვათა შორის, ამ საორგანიზაციო გეგმის იდეა ხორც შესხმულათ გამოხატა ლენინმა, როცა მან ერთ სივზზე ტრიბუნაზე მდგომმა, მალთა ასწია მაგრათ მოკუმშული მუშტი ..

მიმდინარე განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურ ძალათ ბოლშევიკები კიდევაც სცნობენ გლეხ-

კაცობა—და ისიც იმდენათ, რამდენათაც ეს უკანასკნელი უკან გაჰყვებოდა პროლეტარიატს და დემოკრატიულ ბოლშევიზმს „გმირების“ ხელმძღვანელობას—ხოლო ბურჟუაზიას და იმის პარტიებს კი ისინი არავითარ ა გილს არ უტოვებენ. მათ ერთობ ახირებულათ და უცნაურათ გაიგეს პლენხანოვის ცნობილი სიტყვები: „რუსეთში რევოლიუცია გაიმარჯვებს როგორც მუშათა მოძრაობა, ან სულ ვერ გაიმარჯვებსო“. მათის აზრით, ისტორიის რუსეთის ბურჟუაზიისათვის არავითარი როლი და მნიშვნელობა არ გაუმეტნია; იგი (რუს. ბურჟ.) მუდამ უსუსური და სხვის ხელით საჭარბელია; ძველი რევოლუციის დროს ბურჟუაზიას ჰპატრონობს „ბიუროკრატია“, ახალ დროში კი მის აპექუნათ გამოდის... პროლეტარიატი. „ჩამოდექითო—მიმართავენ ბოლშევიკები „ლიბიან ბურჟუებს“—პროლეტარიატი მოდის, რომ დავიარსოთ თქვენი ბურჟუაზიული რესპუბლიკაო“... და ასეთ შეხედულების გასამართლებლათ და განსამტკიცებლათ ბოლშევიკები იმოწმებენ პლენხანოვის შემოხსენებულ სიტყვებს, იმ პლენხანოვისას, რომელმაც რუსეთის ბურჟუაზიის რევოლიუციონური როლი განსჭვრიტა ჯერ კიდევ მაშინ, როცა არავითარ მოძრაობის არავითარი ჩამიჩუმი არსად იყო (იხ. მისი „Всероссийское собрание“).

ბოლშევიკების აღნიშნულ შეხედულების თეორეტიული მოსაზრებანი მოკლეთ ასეთია. რუსეთი კაპიტალიზმის გზაზე გამოვიდა ძალიან გვიან, სახელგანთქა მაშინ, როცა მის გვერდით, საერთაშორისო ბაზარზე უკვე ყელმოღერებული დგანან „კაპიტალიზმის მხრივ უმალლესათ განვითარებული ქვეყნები; ამათთან კონკურენცია, რასაკვირველია, არ შეეძლო რუსეთს და თუ აქ მაინც ვითარდება კაპიტალიზმი, ესა ჰხდება მარტოდენ უცხოეთის კაპიტალების წყალობით; უცხოეთის კაპიტალი კი უცხოეთშივე მ ეზიდება მთელ ზედმეტ ღირებულებას და რუსეთს კი უტოვებს მხოლოდ პროლეტარიატის მუდამ მოზარდ და მუდამ ახალ-ახალ რაზმ ბს.

მაგრამ ჯერ ერთი, რომ რუსეთი არ არის გვიან გამოსვლის პირველი და უკანასკნელი მაგალითი; იპოვნია გუშინ გამოვიდა კაპიტალიზმის გზაზე და იგი ჩვენ თვალწინ განვითარდა და გამძღავრა: ამავე გზაზე მიდიან დღეს აზიის სხვა უკან ჩამორჩენილი ქვეყნებიც და პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც იმეორებენ დაახლოვებით იმავე, რაც განვლეს დაწინაურებულ ქვეყნებმა. მეორე მხრივ, უცხოეთის კაპიტალმა ყველა ამ ქვეყნებში დაახლოვებით იგივე როლი ითამაშა, რასაც ჩვენ ვხედავთ რუსეთში. მაგრამ საქმე ის არის, რომ ბოლშევიკებმა ე თმანეთში აურიეს უცხოეთის სხვადასხვაგვარ კაპიტალის ერთი-მეორის საწინააღმდეგო მნიშვნელობა. ის კაპიტალი, რომელიც რუსეთს მოსდის საგარეო სესხის სახით, რა თქმა უნდა, ჰბადებს რუსეთის ბურჟუაზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ უილაჯობას, რადგან იგი ადატაკებს ხალხს, მა-

შასადამე, ავიწროებს და აბათილებს შინაურ ბაზარს და ამავე დროს „საბლის წვერსაც“ აძლევს სწორეთ უცხოეთის ბურჟუაზიას, რომლის ერთად ერთ ინტერესი იმაშია, რომ დაუსრულებლივ ინაღლებდეს საფაზო პროცენტებს და, ამასთანავე, რუსეთს მუდამ იგულვებდეს საერთაშორისო ჟანდარმათ. ბოლშევიკებს ავიწყლებათ, რომ ეს კაპიტალი არ არის მარტო ბურჟუაზიის უილაჯობის მიზეზი, რომ იგივეა უფრო მთავარი მიზეზი რუსეთის მთელი ხალხის სისუსტისა განთავისუფლების საქმეში. მეორე მხრივ, კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ გარდა საფაზო კაპიტალისა, რუსეთში მოდის დიდძალი სამრეწველო კაპიტალი, რომელიც პირველთან შედარებით თამაშობს სრულიად წინააღმდეგ როლს. სამრეწველო კაპიტალს უცხოეთში გააქვს მხოლოდ ერთი ნაწილი ზედმეტ ღირებულებისა, მეორე ნაწილი ხმარდება თვით რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას. ეს კაპიტალი ზრდის და ანვითარებს თვით რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობას, მაშასადამე ზრდის და ანვითარებს თვით რუსეთის ბურჟუაზიას, მაღლა ეწევა ამის პოლიტიკურ მნიშვნელობასაც. ამავე დროს, ამ კაპიტალის საკუთარი ინტერესებიც ითხოვენ, რომ ბიუროკრატულ თვითმპყრობელობის ნაცვლათ აქ დამყარდეს უფლებრივი ნორმები, შემოდებულ იქმნას კონსტიტუციონური წესწყობილება, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებში შეუძლიან მას ნორმალური ზრდა-განვითარება.*).

ბოლშევიკები ყველა ამას ვერა ჰხედავენ იქნებ იმიტომაც, რომ სწორეთ ასეთი სიბეცვა მათთვის სასიამოვნო პერსპექტივების მაჩვენებელი, რომ სწორედ ეს სიბეცე უხატავს მათ ბურჟუაზიულ რევოლიუციის დროს პროლეტარიატის ძლევა-მოსილებას და ბურჟუაზიის უძლიურება-არარაობას.

დიახ, ბოლშევიკები დაჟინებით გაიძახიან, რომ რუსეთის საერთო, საიმპერიო განახლება-განთავისუფლება ს საქმე უნდა შესრულოს ერთად ერთ პროლეტარიატმა, თავის საკუთარ ძალ-ღონითო. ასეთი შეხედულება, სხვათა შორის, ჰბადებს ერთ მეტათ კუროზულ მოვლენას. რუსეთში, სადაც ხალხს ქედი მოუხარია მძიმე ყმობა-მონობის უღელ ქვეშ, სადაც ქვეყნის ერთად ერთი უკანტროლო, განუკითხველი ბატონ-პატრონია „ბიუროკრატია“, აი ამ რუსეთში ჩნდება... „Cas Millerand“ (მილოგრანის შემთხვევა), ე. ი. საკითხი იმაზე, შესაძლებელია თუ არა ბურჟუაზიულ სამინისტროში პორტფელი იტვირთოს სოციალისტმა. ბოლშევიკები ამ საკითხზე გადაჭრით უპასუხებენ—შესაძლებელია, ეს არ ეწინააღმდეგება სოციალდემოკრატის არავითარ პრინციპსო, და ასე ადვილათ სწყვეტენ საკითხს იმ საბუთით, რომ დღეს რუსეთი განიცდის რევოლიუციონურ ხანას და მაშასადამე აქ სრულიად მოსატანი არ

*) ამ საკითხის შესახებ იხ. სხვათა შორის «Промышленный подъемъ или промышленный кризисъ» Мухомѣва, „Образование“ 1907 г. № 9 და „Очеркъ развитія буржуазіи въ Россіи“, „Образование“ 1907 г. № 9.

არის გედისტებისა და სხვა ორტოდოქს მარქსისტების მოსაზრებანი, რაიც შეეხებოდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ჩვეულებრივ მდგომარეობასო. ბოლშევიკებს არც შეეძლოთ საკითხის სხვანაირათ გადაჭრა, რადგან, მათის აზრით, ბურჟუაზიულ რევოლიუციაში გამარჯვება პროლეტარიატისა უეჭველათ ჰნიშნავდა ამ უკანასკნელის დიქტატურის გამოცხადებას. ბოლშევიკები მხოლოდ იმაზე და თათბირობდნენ. თუ რამდენათ შეუწყნარებელი იქნებოდა, რომ დროებით რევოლიუციონურ მთავრობაში სოციალდემოკრატიას რომელიმე სამინისტროს პორტფელი დაენებებინა არაპროლეტარულ პარტიის წარმომადგენელისათვის.

პროლეტარიატის საოცნებო ძლევამოსილების სინამდვილეთ წარმოდგენა, ბოლშევიკებს ლოდიკურის აუცილებლობით უკარნახებდა აგრეთვე ბოიკოტის ტაქტიკას, რაც მათ ასეთ გაჯიუტებულის სიმტკიცით დიცივს ბულიგინის სათათბიროს დროს და იშვიათის ბეჯითობით გაატარეს პირველ დუმის არჩევნების დროს. მართლაც, რა საჭირო იყო შესვლა იმ ბურჟუაზიულ სათათბიროში, სადაც მუშა ხალხს შედარებით სრულიად უმნიშვნელო ადგილი ჰქონდა დათმობილი, როდესაც დღიურ პრაქტიკულ საქმეათ წამოყენებული იყო მუშათა კლასის მიერ მთელ სახელმწიფო უფლობის ხელში ჩაგდება (პროლეტარიატის დიქტატურა). რა საჭირო იყო სახალხო, მასის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმა, მისი პოლიტიკური გათვითცნობიერება და აღზრდა ცოცხალი მაგალითებით, ცხოველი პრაქტიკისა და საკუთარ გამოცდილებათა საშუალებით, რა საჭირო იყო გრძელსა და ძნელ გზაზე შედგომა, ცხოვრების ამ მოსაწყენ სკოლის გავლა, რა საჭირო იყო ყველას, როდესაც მუშა ხალხის ძლევამოსილება, სპოლოზ ანგარიშით, იგულისხმებდა სოციალდემოკრატიულ ინტელიგენციის ძლევამოსილებას. საჭირო იყო მხოლოდ ამ ს. დ. ინტელიგენციის სათანადო სიმადლეზე დაყენება. და აკი ბოლშევიკებიც, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მთავარ ყურადღებას აქცევენ პროფესიონალურ რევოლიუციონერთა დაზამვას, „შეტქმულთა“ ორგანიზაციების მოწყობას. აი, ეს მხნე, გაბედული და თავგანწირული უმცირესობა წინათვე დანიშნულ სახალხო აჯანყების საათზე ასტეხდა ბრძოლის საყვირს, პირველი თვითონ ეკვეთებოდა საერთო მტერს და თავისი გმირობით თან გაიყოლებდა ხალხის მასას, მით უზრუნველყოფდა გამარჯვებას. დიახ, ბოლშევიკების აზრით, მთელი ქვეყნის სვებედს, საბოლოო ანგარიშით, სწყვეტს „გირების“ დასი, დიახ, ბოლშევიკების აზრით, რევოლიუციის ახდენს სოციალდემოკრატიული ინტელიგენცია პროლეტარიატის დახმარებით. როგორცა ჰხედავთ, აქ შეცვლილია მხოლოდ სიტყვები, დედა-აზრი კი იგივე არის, რასაც ამ ნახევარი საუკუნის წინათ ქადაგებდნენ ნაროდნიკები—რევოლიუციის მოახდენს ინტელიგენცია გლეხკაცობის დახმარებითო...

ასე და ამ რიგათ, მატერიალისტი ბოლშევიკები

იმავე დასკვნაზე მივიდნენ, რასაც ადგნენ იდეალისტ-ნაროდნიკები. და ასეც უნდა მომხდარიყო. რაკი ბოლშევიკთა აზროვნებაში ერთხელვე შეიჭრა—სუფუნებლათ, რასაკვირველია, — იდეალისტურ მოძღვრების დებულება იდეასა და პიროვნების უაღრესობის შესახებ, იგინი პრაქტიკულ მოქმედებაშიაც ვერ ასცილდებოდნენ იმავე იდეალისტ რევოლიუციონერთაგზას. ამიტომაც, ბოლშევიკები, რამდენადაც ისინი ატარებდნენ თავის განსაკუთრებულ სახეს—თავის მოქმედებაში ალადგნდნენ ძველ ნაროდნიკულ რევოლიუციონერთა ტაქტიკას და ნაცვლად მარქსიზმის ბასრ, ნამდ ილათ ძლევამოსილ მახვილისა, გვაჩეხებდნენ ძველ, იდეალისტ რევოლიუციონერთა დაუანგებულ იარაღს. გზა-კვალის ასეთი აბნევა, რა თქმა უნდა, არ დაახანებდა თავს დამდუპველ შედეგებს და აკი ასეც მოხდა მდგომარეობას ამძიშებდა კიდევ ის გარემოება, რომ შეუწყნარებელ შეცდომებს ვერ ასცილდა სოციალდემოკრატიის თვით მეორე მიმდინარეობაც, აგრე წოდებული მენშევიზმი.

მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში.

ონ.

უტოპისტები და მარქსის მოქმედება.

I

(გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1).

წარმოება საშინლათ ვითარდებოდა, საქონელი გროვდებოდა, სიმდიდრე იზრდებოდა და ხალხი კი ყველა აქ ჩამოთვლილი მიზეზებისა გამო თანდათან დატკდებოდა. კაპიტალისტები მილიონებს იძენდნენ, მუშები კი ლუკმა პურსა ჰკარგავდნენ. ქალაქი უენდებოდა, სოფელი კი იფსებოდა. მიწამ ძველი მნიშვნელობა დაჰკარგა და ცხოვრების მთავარ ძარღვთ კაპიტალი გადიქცა. მუშებმა არ იცოდნენ, როგორ უებრძოდებოდნენ ამ მოვლენას. თავისი უბედურების მიზეზი მათ მანქანებში დაინახეს და გულის ჯავრი ამ უსულო საგნებზე ამოიყარეს. მუშებმა შეადგინეს სხვადასხვა ჯგუფები, რომელთა მაზანი არსებული წესწყობილების დამხობა კი არ იყო, არამედ მანქანების მოსპობა.

გაჩაღდა ნამდვილი ტერორი, რომლის მსხვერპლიც მანქანები იყვენ! როდესაც ჯემს განგრიგსმა სართავი მანქანა „ჯენნი“ გამოიგონა, იმ ქალაქში, სადაც განგრიგის სცხოვრებდა, მთელი აჯანყება მოხდა: დაამტვრიეს ყველა მანქანები და თვითონ განგრიგისი რომ არ გაქცეულიყო, გაათარებული მუშები მას უსათუოდ მოჰკლავდნენ. მუშების ამხედრებამ მანქანების წინააღმდეგ ბოლოს და ბოლოს ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ინგლისში მთავრობამ გამოსცა ახალი კანონი, რომლის ძალითაც მანქანის განზრახ დამტვრევისათვის ყოველი დამნაშავე სიკვდილით ისჯებოდა. თუ რამდენათ ძლიერი იყო მუშების აჯანყება მანქანების წინააღმდეგ, იქიდანაც სჩანს, რომ მუშები ამგვარმა ბარბაროსულმა კანონმაც ვერ დააშინა და ბევრი მათგანი გამოესალმა წუთისოფელს მანქანების დამტვრევისათვის.

ამგვარი იყო საწარმოვო რევოლიუცია, რომელმაც სრულებით შესცვალა კაცობრიობის ცხოვრება, გარდა რამდენიმე ჩამორჩენილ სახელმწიფოებისა. პირველ ხანებში მუშა ხალხი ეწინააღმდეგებოდა ამ საწარმოვო რევოლიუციას; ის სკდილობდა ცხოვრების შეჩერებას, წარმოების ძველი წესის შერჩენას და მსხვილი წარმოების მოსპობას. მაგრამ ცხოვრებამ მალე დაუმტკიცა მუშა ხალხს, რომ ამგვარი ბრძოლა სრულებით უნაყოფო იყო. მთელმა ხალხმა შეიგნო, რომ მისი უბედურების მიზეზი თვითონ მანქანები და მსხვილი წარმოება კი არ არის, — პირიქით, ესენი მხოლოდ მისი კეთილდღეობის ხელის შემწყობნი არიან, — არამედ ის გარემოება, რომ მანქანები და მსხვილი წარმოების ყველა საშუალება კაპიტალისტის კერძო საკუთრებაა. მუშა ხალხმა მანქანების მტკვრევას თავი გაანება, დაიწყო შეერთება, კავშირების დაარსება და სისტემატიური ბრძოლა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ამავე დროს მუშა ხალხში ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა ის რწმენა, რომ მშრომელთა განთავისუფლებისათვის საჭიროა საწარმოვო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა და მათი საზოგადო საკუთრებათ გადაქცევა.

მუშა ხალხის გაქირვებულ მდგომარეობას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში პირველათ სენსიმონმა მიჰქცია ყურადღება და თავისი მომავალი წყობილება მუშა ხალხის კეთილდღეობას შეუფარდა.

II *აქამდ მხარე ცხელი*

გრადი, ანუ ჩვენებურათ თავადი, გენრის დერუერუა სენ სიმონი ერთი შესანიშნავ პირთაგანი იყო წარსულ საუკუნეში მარტო თავისი ნიჭით კი არა, თავისი ცხოვრებითაც. ის ჯერ სამხედრო სამსახურში იყო; სწრაფათ წინაურდებოდა და იმგვარ იღბალთან სამსახურში მისი წარჩინებული გვარისშვილობა სრული თავდები იყო, რომ სახელმწიფოში ის დიდ ალაცს დაიკავებდა, მაგრამ სენსიმონმა მოულოდნელათ დაანება თავი სამხედრო სამსახურს და აირჩია ის გზა, რომელმაც ის მალე უბრალო მწერლის სკამზე დასვა, შემშლით კვდილის კარებზე მიიყვანა, შემდეგ კი გამოჩენილ ზრეთა და წინასწარმეტყველათ გახადა.

სენსიმონი დაიბადა საფრანგეთში 1760 წელს; ის მდიდარი ოჯახისა და ძველი გამოჩენილი გვარისილი. „მე კარლოს დიდის ჩამომავალი ვარ, ჩემს ძარბში კარლოს დიდის სისხლი სჩქედსო“, უყვარდა სიმონს თქმა. ამით სენ-სიმონი იმიტომ კი არ ამაცობდა, რომ კარლოსი მეფე იყო, ამით მას მხოლოდ უნდოდა ეთქვა: ჩემი ძველი არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი იყოვო. სენ-სიმონი რომ არ აფასებდა გვარი-შვილობას, ეს მან საუკეთესოთ დაამტკიცა საფრანგეთის რევოლიუციის დროს.

პატარაობიდანვე მან მიიღო საუცხოვო განათლება. ბავში სენ-სიმონი ნამეტანი თავმოყვარე იყო. მუდამ თავის გამოჩენას სკდილობდა და სახელის მოხვეჭაზე ოცნებობა მეტათ აღრე დაიწყო. ის იყო ჯიუტი,

მტკიცე ხასიათის; რასაც იტყოდა, აღარ გადათქვამდა.

ერთხელ თავის ამხანაგებთან ერთათ პატარა სენსიმონი ქუჩაში თამაშობდა. ამ დროს ეტლი გამოჩნდა. ეტლს რომ საოამაშო ადგილზე გაეველო, თამაშს ჩაუშლიდა ბავშვებს და ამიტომ სენ-სიმონი გაწვა ქუჩაზე! მეეტლე იძულებული გახდა, ეტლი შეეჩერებია და გზა აექცია. ერთხელ სინ-სიმონს უკუნა ძაღლმა, რომელსაც ცოფს ეწამებოდენ. სენ-სიმონმა თავისი ხელით დაიღო გახურებული ნაკვერცხალი ნაკებნზე, თუმცა ამ დროს თორმეტის წლისა არც კი იყო, და ხორცი ძალიან დაიწვა; შემდეგ გატენა რევოლვერი და ჩაიდვა ჯიბეში ნამალევათ. როგორც შემდეგ გამოირკვა, პატარა სენ-სიმონს გადაეწყვიტა თავი მოეკლა, თუ კი ცოფის ნიშნები გამოაჩნდებოდა.

ცამეტის წლისა რომ იყო, მამამ უთხრა სენ-სიმონს: უნდა იმარხულო და ეზიაროვო. სენ-სიმონმა გამოუცხადა: არც ვიმარხულებ და არც ვეზიარები. რადგანაც არც ერთი არა მრწამსო. მამა მისი ღვთისმოსავი კაცი იყო და სარწმუნოების კითხვებში ხუმრობა არ უყვარდა; მან ძალიან დატუქსა პატარა სენ-სიმონი, მაგრამ შეიღმა დინჯათ უპასუხა: შენ შეგიძლია ღონით დამიმორჩილო, მაგრამ რწმენას კი ძალით ვერ გამომიცვლიო. წაიყვანეთ ეს არამზადა და საპყრობილეში ჩამაწყვდიეთო, დაიყვია მამამისმა. ძველი თავადიშვილის ყვირილი და ღვთის რისხვა ერთი იყო. პატარა სენ-სიმონს სტაცეს ხელი და საპყრობილეში ამოაყოფიეს თავი მისი რწმენისათვის. სენსიმონმა საპყრობილეში შეთვალყურეს გამოუცხადა: უნდა გამანთავისუფლოვო. შეთვალყურემ უარი განუცხადა, სენსიმონმა ძალით დააპირა გასვლა. დარაჯი წინ გადაეღობა. ბავშმა იძრო დამზადებული დანა, დაჰკრა დარაჯს და გავარდა გარეთ. იღბლათ ქრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა და დარაჯი გადაჩა; სენსიმონმა კი თავისი წადილი აასრულა და თავს უშველა. ის დაიბადა თავის ნათესაგებთან და დიდის გაქირვებით შეარჩევს შემდეგ მამა და შვილი ასეთი იყო ცამეტი წლის სენსიმონი. როდესაც ის ჩვიდმეტი წლისა შესრულდა, მოსამსახურე დაარჩია: ადექით, თქვენო ბრწყინვალეზავ, დიადი საქმეები უნდა შესრულოთ, ყოველთვის ამ სიტყვებით გამაღვიძე ხოლმეო. მოსამსახურეც ერთგულათ ასრულებდა სენსიმონის დარიგებას და თან უთუოთ გულში ამბობდა: ჩვენი პატარა კნიაზი ცოტა მოისულელებსო. სენსიმონი სამხედრო სამსახურში შევიდა და მთავრობამ ის ამერიკაში გაგზავნა. ჩრდილოეთ ამერიკა ამ დროს ინგლისელების ხელში იყო. ამერიკასა და ინგლისს შორის ომი ასტყდა, რასაც ამერიკის შტატების დამოუკიდებლობა მოჰყვა შედეგათ. საფრანგეთი ამერიკას დაეხმარა და ჯარი მიამშველა. სენსიმონმა ამერიკაში ხუთ წელიწადს დაჰყო, გმირულათ იბრძოდა ამერიკის გასანთავისუფლებლათ; ბევრჯერ დასქრეს ის და ბოლოს ინგლისელებს ტყვეთ ჩაუვარდა. ომის გათავებისა და ზავის შემდეგ სენ-სიმონი გაანთავისუფლეს და ის სამშობლოში დაბრუნდა. აქ

მას პოლიკონიკობა მისცეს და ერთი ქალაქის კომენ-
დანტათ დანიშნეს. ამ დროს ის ოცდა-ოთხის წლისა
იყო. სხვა იმის ალავას თავის თავს დიდ ბედნიერათ
ჩასთვლიდა: ოცდა ოთხის წლის ყმაწვილი უკვე პოლი-
კონიკია და კომენდანტი! მალე გენერლობას მისცემ-
დნ და მისი გვარიშვილობისა და ნათესავეების წყალო-
ბით ძალიან დაწინაურდებოდა, მაგრამ სამხედრო სამსა-
ხური მისთვის აუღანელი გახდა, როგორც თვითონ ამ-
ბობდა ხოლმე. სენსიმონმა სამსახურს თავი დაანება და
ევროპაში დაიწყო მოგზაურობა. ერთი წელიწადი ის
ჰოლოლანდიაში სცხოვრობდა, შემდეგ ესპანეთში გადავი-
და. ამ ხანებში იფეთქა საფრანგეთში დიდმა რევოლიუ-
ციამ და სენსიმონმა სამშობლოს მოაშურა. პირველ ხა-
ნებში სენსიმონი დიდ მონაწილეობას იღებდა რევოლი-
უციაში თავისი პროპაგანდით; როდესაც რევოლიუცია
ისე გამწვავდა, რომ ხალხს პანტასავით სცივოდა თა-
ვები, სენსიმონი რევოლიუციას ჩამოშორდა, რადგანაც
ის უთავბოლო სისხლის ღვრის წინააღმდეგი იყო. მოგ-
ზაურობიდან დაბრუნებისათნავე სენსიმონი დაბინავდა
თავის მამულში სომმის დეპარტამენტში. აჯანყებულმა
ხალხმა აქ ძველი მოხელეები გამოსცვალა და კრება
დანიშნა ახალი მოხელეების ასარჩევათ. კრების თავ-
მჯდომარეთ სენ-სიმონი აირჩიეს. სენსიმონმა ხალხს
შემდეგის სიტყვებით მიმართა:

„კრების თავმჯდომარეობა, ბატონებო, ჩემთვის
ფრიად სასახელოა და სასიამოვნო, მხოლოდ ერთი ეჭვი
მაწუხებს: იქნება იმიტომ კი არ მეცით ამისთანა პატი-
ვი, რომ მე ჩემის პირადის ღირსებით დამემსახურებიოს
ეს, არამედ იმიტომ, რომ ამით თქვენი ბატონისადმი
პატივისცემა დაგემტკიცებიათ. მაშ, იცოდეთ, რომ
დღეიდან აღარ არსებობენ ბატონები! ჩვენ ყველა აქ
სრულებით თანასწორნი ვართ და ჩემი გრაფობა რომ
საბუთს არ გაძლევდესთ, იფიქროთ, ვითომ მე რაღაც
გადამეტებული უფლებები მეკუთვნოდეს, გიცხადებთ,
რომ მე სამუდამოთ ხელს ვიღებ ჩემს გრაფობაზე, რო-
მელზედ ბევრათ უფრო მალა მე ვაყენებ მოქალაქის
სახელს. ჩემი გრაფობაზე უარყოფის დასამტკიცებლათ
გთხოვთ, ჩემი სიტყვები კრების ოქმში შეიტანოთ“.

სენსიმონი დარჩე სოფელში, გამართა პროპაგანდა
და ხალხს უხსნიდა, თუ რაში მდგომარეობს ნამდვილი
თავისუფლება და თანასწორობა, რა მნიშვნელობა აქვთ
მათ ხალხისათვის და სხვ. და სხვ. მახლობელ კანტონ-
ში კრება მოხდა და სენსიმონმა წინადადება შეიტანა:
ეროვნულ კრებას (რომელიც მაშინ მთავრობის მოვა-
ლეობას ასრულებდა) ადრესი გავუგზავნოთ და წოდებ-
ების გაუქმება მოვთხოვოთ. თავისი წინადადების და-
საცავათ სენსიმონმა ძლიერი სიტყვა წარმოთქვა. კრე-
ბამ მას მხარი დაუჭირა; სენსიმონმა თვითონვე შეადგი-
ნა ადრესი და გაუგზავნეს ეროვნულ კრებას.

ივ. გამართელი.

(შემდეგი იქნება)

გაზ. „ნოვოსტი ზაკავკაზია“-ს დებეში: „საკრებო-
ნებენ პეტერბურგიდან, რომ საკითხი კახეთის რკინის
გზის გაყვანისა და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რამდენ-
ნად სასურველია ამ მხრისათვის ეს გზა, ამ მოკლე დრო-
ში იქნება განხილული გზათა კომისიისაგანაო.“

◆ თფილისელ ქართველ ქალთა წრეს გადაუწ-
ყვეტია მხურვალე მონაწილეობა მიიღოს აკაკის იუბი-
ლეში. წარმომადგენლებად აურჩევიათ ქ-ნნი ნინო ყ-
ფიანისა, დ. განდევილი და ე. ორბელიანისა.

◆ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დებუ-
ტატთა საკრებულოს დაუდგენია, აკაკის იუბილეში მო-
ნაწილეობის გარდა, 1000 მანეთი გადასდოს ძვირფას
იუბილიარის სახელობის ფონდისათვის.

◆ დაიწყო დუშეთის ხაზინის გაძარცვის საქმის
გარჩევა. სასამართლ ს დარბაზში ხალხს არ უშვებენ.

◆ გრ. რობაქიძისათვის აუკრძალავთ ქართულ
ენაზე ლექციის წაკითხვა, აკაკის ნაწერების მნიშვნელო-
ბის შესახებ.

ქუთაისი.

12 ნოემბერს, 12 საათზე და 25 წუთზე ადგილობ-
რივ საგუბერნიო ციხის ახლათ გაღებულ მეორე გან-
ყოფილებაში მოხდა მეტად შემადრწუნებელი შემთხვევა:
ბესარაბიის პოლკის ჯარის კაცმა ციხის ქვედა სართულ-
ში მოლაპარაკე ტუსაღებს თოფი ესროლა. ორი მათგა-
ნი ილ. გოგვაძე და თეოდ. ცხომელიძე ტყვიით გულ-
განგმირული იქვე უსულოდ დაეცა. მხოლოდ, მესამე,
გიორ. კინწურაშვილი ხელში დაჭრილი საავადმყოფოში
მოათავსეს.

◆ აკაკის იუბილეს მომწესრიგებელი ადგილობ-
რივი კომიტეტი 23 ნოემბერს იწვევს ქალთა კრებას,
რომელმაც უნდა აირჩიოს თფილისში იუბილიარის მიმ-
ლოცავათ წარმომადგენლები ქალთაგან.

◆ აქ საგრძნობლათ აცივდა, ხოლო 18 ნოემბერს
საკმაოდ დასთოვა.

◆ მოკლე ხანში ქ-ნი იავორსკაია აქ ითამაშებს
თავის დასით კნობილ პიესას „მადამ-სანჟენს“.

◆ ამას წინათ რეალურ სასწავლებლის ზედამხედ-
ველის ქიქინაძის ფულის გატაცებისგამო ეჭვით
შეიპყრეს ორი. ერთი მათგანი ყოფილი მოსწავლე ქი-
ქინაძეა.

◆ 13 ნოემბერს მოხდა საჯარო ვაჭრობა ხიდის
გაცემის შეახებ. მოიჯარადრენი აუარებელი რიცხვი გა-
მოჩნდა, ყველაზე უფრო მეტი ფულის თანხა (19,000 მ.)
წარადგინა ბ-ნ ეფრემიძემ. ახლახან ეს ხიდი გაცემულია
18,000 მანეთათ.

◆ სახაზინო გიმნაზიაში დასრულდა აფთიაქის შე-
გირდთა ეგზამენის წარმოება. 15 ყმაწვილიდან მხოლოდ
ორი გახდა ფარმაცევტის მოწმობის ღირსი.

◆ ქართულ გიმნაზიაში თვით აკაკის თანადასწრე-
ბით ბრწყინვალეთ გადაიხდიან ყმაწვილთა საყვარელ

გალკანეთის სამხმეზი.

ავსტრია თავისას არ იშლის და ცხადათ თუ ფარულათ დიდს მზადებაშია. არ ვიცით, რამ აუშალა ომის საღერდელი—მოჭარბებულმა ფულმა, თუ საუკეთესო სამხედრო ძალამ,—მაგრამ ის კი ვიცით, რომ ჭველისა თუ ახალის თამასუქით უნდა პატარა ერს დიდი თათი დაადოს და გემრიელი ულუფა საკუთრად შეიტყაპუნოს. სერბიის ჩრდილოეთის მხრის საზღვრებ-

ზე განუწყვეტლად მიდის ავსტრიის ჯარი. სხვადასხვა გარნიზონები 40,000 ქვეითა და 6 ცხენოსან პოლკს შეადგენს. ზემლინიდან მიტროვიცამდე ტელეგრაფის ახალი მავთული გაჰყავთ. სერბიის მოსაზღვრე სოფლებს გამოუცხადეს, საღამოს ექვსი საათიდან დილის ექვს საათამდე სახლიდან არ გამოხვიდეთო. ამასთან, ღამე სინათლე არსად არ უნდა სჩანდეს. ადგილობრივ ბანკებს დიდძალი ფული და ძვირფასი ნივთები საზღვარ-



უზინათელ სინათლეს ახიკქმს.

გარეთის ბანკებში გადააქვთ. ყოველ დღე აუარებელი მატარებლები მოდიან სამხედრო სურსათით დატვირთულნი. სხვა საქონლის ზიდვა რკინის გზით სრულიად შესწყვიტეს.

ლონდონი. აქაურს წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ავსტრიას გულით სწადიან ომი და კიდევ ეკვირვება ესა, რადგან იმედი აქვს ამ ომის მეოხებით შეინარჩუნებს იმპერიის ორსავე ნახევარს, რომ იმპერატორ ფრანც იოსების სიკვდილის შემდეგ არ დაიქ-

საქსოსო. სერბიასთან ომს თანაუგრძნობენ როგორც ავსტრიასა, ისე უნგრეთში. მდგომარეობას სერიოზულათა და ომის ახლო მომასწავებლად სთვლიან. სერბიაც მზადაა შემოსეულ მტრის დასახვედრათ. ბელგრადიდან საომარი იარაღი გაიტანეს იმ მოსაზრებით, რომ მტერს საბაბი არ მისცენ ყუმბარები დაუშინოს ქალაქს. სერბები მთის პოზიციებს დაიჭერენ. ეტყობა, ავსტრიელები დანარჩენ ჯარის საზღვარზე მოსვლას ელოდებიან. ავსტრიის საფინანსო და სავაჭრო წრეები შემი-

ნებულნი არიან. კურსი ს გრძნობელათ დაეცა ბირ-
ჟაზე.

სტამბოლი. ავსტრიის ელჩმა წინადადებით მიმართა
პორტას, ძალა დაატანეთ დამოუხრის მუშებს ავსტრიის
შაქარი გადმოტვირთონო. ავსტრიის საქონელს ბოიკო-
ტი აქვს გამოცხადებული. ელჩი აუწყებს პორტას, თუ
ჩვენს საქონელს ბოიკოტს არ მოხსნიან, აქედან წავა-
ლო, და ეს კი ორ სახელმწიფოთა შორის კავშირის
შეწყვეტას ნიშნავს.

კელნი. „კელ. ცაიტ.“ სწერენ სალონიკიდან,
ანტვერპენიდან მოსული, ბელგიელ. ამხანაგობის მიერ
დატვირთული, ავსტრიის გემი „აღვა“ ვერ გადმოტვირ-
თეს, თუმცა ბელგიის ბაირალი კი ჰქონდაო.

— ცეტიინეში (ჩერნოგორიის სატახტო ქალაქია)
მივიდნენ რუსის აფიცრები, რათა ჩერნოგორელებს
ახალ ზარბაზნების ხმარება შეასწავლონ.

ოსმალეთი.

სტამბოლი. პარლამენტის 240 წევრიდან 229 უკვე
აირჩიეს.

არზრუმის ვილაიეტში არჩევნები დასრულდა. აირ-
ჩიეს 3 ოსმალთა და 2 სომეხი—დაშნაკჯაკანი.

ოსმალეთის მთავრობას მოლაპარაკება აქვს საფრან-
გეთის საერო განათლ ბის მინისტრთან და სთხოვს, რომ
უჩვენოს ფრანგი პროფესორები და მასწავლებლები,
რომელნიც დასთანხმდებიან ოსმალეთის სასწავლებლებში
აღვლლების მიღებას.

— ერთს ადგილობრივს პატრიოტულ საზოგადოე-
ბას 80,000 ცალი მუნდირი შეუწირავს ადრიანოპოლის
ვილაიეტის მხედრობისათვის.

ჩინეთი.

როგორც კი ჩინეთის მზრძანებელნი გარდაიცვალენ,
იმწამსვე მოედო მთელს ჩანეთს ამბოხების ალი და საკაა
„ამომავალ მზის ქვეყანა“ გამოვა იმ ბნელეთიდან, რო-
მელშიაც სული ესუთებოდა 400 მილიონიან იმპე-
რიას. რევოლიუციონურმა მოძრაობამ მსწრაფლად იჩინა
თავი, თუმცა რეაქციონერებიც არა სთვლემენ. ამ რეა-
ქციონერების წყალობით მოჰკლეს ამ დღეებში ცნობი-
ლი სახელმწიფო მოღვაწე იუანშიკაი, რომელიც ახლათ
დანიშნულ რეგენტ პრინც ჩუნის უმახლობელესი კაცი
იყო. იუანშიკაი პროკრესიულ იდეების მატარებელი
იყო და ჩინეთის რეფორმების დიდი მომხრე.

— გამორიკვა, რომ ჩინეთის იმპერატორი და იმ-
პერატრიცა შხამიანის გაზით მოწამლეს. ამ საშინელს
მკვლევრობაში დამნაშავენი არიან სასახლესთან დაახ-
ლოვებული პირები. სასახლის საჭურისები თურმე მეტად
მარჯვე იარაღნი იყვენ იმპერატორის დიდებულთა შეთქ-
მულობისა. ამათის შემწეობით მოიმოქმედეს ყველაფერი
და ამიტომაც აუარებელ საჭურისთა გროვა უგზო-უკვ-
ლოდ გადაკარგულა.

— პეტერბურგში ჩინეთის საელჩომ ცნობა მიიღო,

რომ რევოლიუციონერები უფრო და უფრო წინსვლიან
სამხრეთიდან ჩრდილოეთით ჰეკინისაკენაო.

— ჩინეთის იმპერატორს გადაწყვეტილი თურმე
ჰქონია კონსტიტუციის გამოცხადება, რისთვისაც ამ
წლის 14 აგვისტოს კიდევ გამოუცია ბრძანება, რომლის
თანახმად უნდა შემუშავებულიყო საკონსტიტუციო წე-
სები, ასე, რომ 1916 წლისათვის უნდა შემოღებულიყო
კონსტიტუცია

იმპერატორს ანდერძი დაუტოვებია, საცა ამბობს:
იმდენი ეცადეთ მოახლოვეთ კონსტიტუციის გამოც-
ხადების დღე. ჩემს მრავალტანჯულ სულს, რომელიც
ეხლა ზეცისაკენ უნდა მიიქცეს, მხოლოდ ეს დაამზი-
დებს. აღმიტკვით, რომ შეასრულებთ ამ ჩემს ანდერძს
და მით შემიმსუბუქებთ სიკვდილსაო.

წმირილი ამხტარები.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

მთავრობის ახალი კანონ-პროექტი

(დასასრული, იხ. „მნათობი“ № 1).

ეხლა გადავიდეთ თვით კანონ-პროექტის განხილვა-
ზე. როგორ უყურებს კანონ-პროექტი სიბერის უზრუნ-
ველ-ყოფის საკითხს? ყველას, როგორც მუშებს, ისე
წვრილ ვაჭარ-მრეწველთა და გლეხებს კანონ-პროექტით
უფლება ენიჭებათ თავი დაიზღვეონ სიბერისაგან, მხო-
ლოდ ერთი პირობით: მათი წლიური შემოსავალი 2,400
კრონს (960 მანეთი) არ უნდა აღემატებოდეს. სიბერის
ხანა კი 65 წლიდან იწყება. როგორც ზემოთ აღვნიშნე
გაკვრით, ამ ხანგრძლივ სიბერემდე მუშა ან სრულებით
ვერ აღწევს, რადგან გაცილებით ადრე ის, ღონე
მიხდილი, იძულებულია მუშაობას თავი დაანებოს, ან
და, თუ აღწევს, უქვევლია, დიდხანს ვერ იგემებს სიბე-
რის რენტით. თვით მთავრობაც კარგად ამჩნევს ამ გა-
რემოებას, როდესაც კანონ-პროექტში აღნიშნავს: „მუ-
შათა კლასის მდგომარეობა მით უნდა განიჩიეს „დამოუ-
კიდებელთ“ (ეგრე ეძახის მთავრობა წვრილ მესაკუთრეთ,
როგორნიც არიან გლეხები, წვრილ ვაჭარ-მრეწველნი,
ხელოსნები და სხვ.), „მდგომარეობიდან, რომ პირვე-
ლისთვის, ე. ი. მუშათა კლასისთვის, დაუძლურება-
დასახიჩრებისაგან დაზღვევის საკითხი უფრო საჭირ-
ბოროტო და უფრო გულთან ახლოა. მუშა, რომლის
არსებობა მჭიდროთ დამოკიდებულია სამუშაო ქირისა-
გან, თავის ძალა-ენერგიას თანდათან ხარჯავს და კარ-
გავს, რის გამოც იძულებულია 65 წლის მიღწევამდე
ინვალიდობისაგან დაზღვევა მოითხოვოს“. კანონ-პროექ-
ტი სწორეთ და სამართლიანათ ამჩნევს ფაქტს, მხოლოდ
შესაფერისი დასკვნანი ვერ გამოჰყავს ამ სამწუხარო
მოვლენიდან. გერმანიის მთავრობა 1899 წელში იძუ-
ლებული გახდა სიბერის და ინვალიდობის დაზღვევის
კანონში მცირეოდენი შესწორება შეეტანა, სახელდობრ,
გამოეცა მხოლოდ ინვალიდობისაგან დაზღვევის კანონი,
განსაკუთრებით მუშათათვის. ავსტრიის მთავრობა კი ამ
გარემოებას გვერდს უხვევს და მოშათა და „დამოუკი-

მგოსნის დღესასწაულს.

◆ იქ, სადაც იუბილეს დღეს სადღესასწაულო პროცესიამ უნდა გაიაროს, ქუჩა ერთიანად გაფუჭებულია, ქვები აყრილია. კარგი იქნება, რომ დროზე შეაკეთებდნ ქვაფენილს.

წერილი მოსკოვიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

მოსკოვის სტუდენტობის მდგომარეობა.

მოსკოვის სტუდენტობის დიდი უმრავლესობა საშინელ გაჭირვებას განიცდის მატერიალურ უსაღსრობის გამო. მე ფიქრადაც არ მომივა ის აზრი, თითქოს რუსეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქების სტუდენტობა მატერიალურათ უფრო კარგ პირობებში იყოს, ვინემ მოსკოვისა, მაგრამ ამ წერილში მე თუ მარტო მოსკოვის სტუდენტობას მინდა მივაპრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება, — ეს იმისთვის, რომ მე, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, უფრო კარგად, უფრო ყოველმხრივად ვიცნობ ამ ქალაქის სტუდენტობის მდგომარეობას.

მოსკოვის სტუდენტობის თუ მეტი არა, სამი მეოთხედა ნაწილი მაინც წელს უფრო მეტ გაჭირვებას განიცდის, ვინემ როდისმე წინათ განიცდიდა.

დავიწყეთ ოთახების გაძივებიდან. ოთახების ფასებმა, შედარებით წინანდელ წლებთან, იმ ზომამდე აიწია, რომ წარმოდგენაც კი მეტად ძნელია; მაგალითად: ოთახი, რომელიც წარსულ წელს 20 და 25 მანეთად ქირავდებოდა, ეხლა 30-დან 35 მანეთამდე ღირს. ამასთანავე წინა წლებში 20 და 25 მანეთიან ოთახებს ორი ამხანაგი ქირაობდა და ერთად სცხოვრობდნ, რომ იათათ გამოსულიყვნენ; წელს კი, თუ უმეტეს ნაწილათ არა, ხშირათ მაინც, 30—35 მანე იან ოთახში ერთის მეტს არ აყენებენ. თუ უნივერსიტეტს მოსცილდები ოთხი, ხუთი და ხშირად კიდევ მეტი ვერსის მანძილზე, შეიძლება იშვო 15—16 მან. პატარა ოთახი, იმდენათ პატარა, რომ ერთ სტუდენტს გაჭირვებით შეუძლია მოთავსდეს. აშნაირათ, ოთ ხის ფასზე თუ მიუმატებთ მოსამსახურის და განათების ფასს, რაც 2 მან. უდრის, გამოვა 17—18 მანეთი; მაშასადამე სტუდენტს მარტო ოთახი, მოსამსახურე და განათება დაახლოვებით უჯდება 17—18 მანეთი.

ამას უნდა მიუმატოთ სადილის ფასი; რაც უნდა მცირე სადილით დაკმაყოფილდეს სტუდენტი, 10 მან. მაინც უეჭველად უნდა; ეხლაც დილა-სალამოს ჩაი თავისი შაქრით, სარეცხი და ბევრი სხვა უპირველესი საჭირო ნივთები, რასაც, სულ მცირე რამ ვთქვათ, 8—10 მან. უნდა. აშნაირათ, ტანისამოსისა და საჭირო წიგნების გარდა, რომ ცოტათ გვარიანათ იცხოვროს სტუდენტმა, მას თვიურად უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 35—40 მანეთისა. ნამდვილათ კი, სტუდენტობის დიდ უმრავლესობას ამისი ნახევარიც არ მოეპოვება. ბევრია,

დიდათ ბევრი ისეთები, რომლებიც სახლიდან ერთ კაპიკსაც არ იღებენ; 25-დან 40 მანეთამდე რომ იღებენ, იმათი რიცხვი არ აღემატება, დაახლოვებით როგორც 3000-ს და მოსკოვის უნივერსიტეტში (მარტო უნივერსიტეტში) სტუდენტობის რიცხვი 9 ათასზე მეტია. იმისთანები კი, რომლებიც 40 მან. მეტს იღებენ თითებზე ჩამოითვლება. მაშ, რა უნდა ქნას დანარჩენმა 6 ათასმა სტუდენტმა, რომლებიც ან 10—15 მანეთს და ან სულ არაფერს არ იღებენ სახლიდან? ვაკვეთილის შოვაზე და იმით თავის გატანაზე იმედების დამყარება ტყვილი ოცნება იქნებოდა; სხვა რაიმე ინტელიგენტური სამუშაოს შოვაც ვაკვეთილის შოვნაზე უფრო ძნელია. აშკარაა სტუდენტობას ერთი-ლა დარჩენია: იშმშილოს სანამ მოთმენა და ძალა ეყოფა; და კიდევ შიმშილობს, მაგრამ შიმშილობს არა მარტო უნივერსიტეტის 6 ათასამდე სტუდენტი, — ამ რიცხვს, თუ მეტი არა, ერთი ამდენი მაინც სხვა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებს სტუდენტობა უნდა მიუმატოთ და ამნაირათ გამოვა სულ მცირე 12 ათასიანი მშვიერ სტუდენტთა არმია, რომელიც წარმოუდგენელ გაჭირვებაში იმყოფება.

ამ გაჭირვების რამდენიმეთ მაინც შესამსუბუქებლათ არსებობს უნივერსიტეტის უფასო სასადილო, რომლის მიზანია მიაწოდოს სტუდენტობას იათ-ფასიანი სადილები და ზოგსაც უფასოთ აძლიოს, მაგრამ ვერც ეს სასადილო შევლის გაჭირვებას, წინათ ამ სასადილოში ორი კერძიანი სადილი ღირდა 6 მან. შემდეგ 7 მან. და 50 კაპ. ასწიეს და ეხლა კი 9 მან. ღირს. უფასოდაც მხოლოდ 200-დან 300-მდე სადილს იძლევა, რადგან მეტის მოცემის საღსარი არ შესწევს. ეხლა სასადილოს გამგეობა ფიქრობს სადილი ორი კერძიდან ერთ, მარტო პირველ კერძამდე ჩამოიყვანოს, რაიც თვეში 6 მან. ეღირება, მაგრამ როგორც თვით მკითხველიც მიხვდება, ვერც ეს შეამსუბუქებს თვალსაჩინოთ გაჭირვებულ მდგომარებას.

ამ დიდი გაჭირვების უფრო მეტათ ნათელ-საყოფათ მკითხველის ყურადღებას მივაქცევ შემდეგზე. უნივერსიტეტის კარილორებში ხშირად შეხვდებით ასეთ ნაირ განცხადებებს: „ამხანაგებო! სიცივით ვკვდები. მაჩუქეთ, თუ რომელიმეს გაქვთ ძველი ტანისამოსი მისმინეთ, ნუ მომკლავთ სიცივით“. ქვეშ აწერია აღრესი, სადაც შეიძლება ძველი ტანისამოსის მიტანა, ან და ძველი ტანისამოსის მქონე, თუ კი გამოწნდა ასეთი, განცხადებაზე მიაწერს თავის აღრესს, სადაც უნდა მიაკითხოს განცხადების გამომკვერლოა. კიდევ: „ამხანაგებო! ფეხზე არ მაღვია, ფეხშიშველი სიარულა უნივერსიტეტში და ისიც ამ ყინვაში, თქვენც იცით, შეუძლებელია; მომეციოთ, თუ ვისმე გაქვს, ძველი ფეხსაცმელები!“ და სხვა ბევრი ამგვარი განცხადებები. რასაკვირველია, თუ ასეთ პირობებში მყოფი სტუდენტი არაფერ შავ სამუშაოსაც არ თაკილობს.

ამას წინეთ მოსკოვის გაზეთებში აწერილი იყო

ერთი სტუდენტის მდგომარეობა. მოვიყვან მოკლედ. ერთ ღარიბ მცხოვრების სამხარეულოს ერთი კუთხე ეკირავებია სტუდენტს და იქ მოეწყო საწოლი ბინა და თან სამუშაოც. შეუსწავლია მეჩემის ხელობა და აკერებს ძველ ფეხსაცმელებს; ამნაირად შოულობს თვეში 6 მანეთს და ცხოვრობს იმით.

ზევით მოყვანილ მაგალითებს კომენტარიები არ ესაჭიროება.

ჩემ მიერ აწერილი სტუდენტობის გაქირვებული მდგომარეობა — კიდევ არ არის სავსე, კიდევ ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ეხლა ესეც კმარა.

ღიახ, ასეთია გაქირვება და საზოგადოება კი ამ გაქირვებას გულგრილათ ეკიდება და ძლიერ იშვიათად უწყვეს დახმარებას უმწეო და უიმედო მდგომარეობაში მყოფ სტუდენტობას.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი ვერ იტანს მუდმივ შიმშილობას, ვერ იკმაყოფილებს თავს მარტო პურიტ და იძულებული ხდება თავის ხელით სიცოცხლე მოისპოს. ვინც სატახტო ქალაქების გაზეთებს თვალს ადევნებს, ის ალბათ შეამჩნევდა, თუ როგორ იზრდება თვითმკვლელობათა რიცხვი; ყოველ დღე ხუთიდან შვიდი, რვა შემთხვევებია თვითმკვლელობისა დიდრონ ქალაქებში. ამათ რიცხვში კვირაში სამი და ოთხი უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტი მინც იქნება. მოსკოვში თანდათან ხშირდება თვითმკვლელობის ჩადენა მოსწავლეებისაგან, რომლებიც ტოვებენ მოკლე, ლაკონურ წერილებს: „ვერ გაუძელი მუდამ შიმშილობას“, ან „ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია“ და სხვა ბევრი მნაირი.

და აი, ამ დროს სწავლა-განათლების მინისტრი წინადადებას იძლევა უნივერსიტეტის სასარგებლოთ გადასახალი ქირა 25 მანეთიდან 75 მანეთამდე გაადიდონ!..

ივ.—იძე.

კვირიდან-კვირამდე

რ უ ს ე თ ი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აღუკრძალა გრადო-ნაჩალნიკებს, გუბერნატორებსა და გენერალ-გუბერნატორებს ბექდვითი სიტყვის წარმომადგენლებთან ლაპარაკი და ამ ლაპარაკის გამოქვეყნება მინისტრისაგან უწინასწარნებართვოდ.

— 12 ნოემბერს პეტერბურგს მოვიდა რუსეთის თეირანელი ელჩი გარტვიგი. ამბობენ, იგი აღარ დაბრუნდება სპარსეთშიო.

— მინისტრთა საბჭომ მოიწონა სახელმწიფო დღეში შესატანად სავაჭრო სამინისტროსაგან წარდგენილი განცხადება, რომ 1911 წლის 1 იანვრამდე ნება დართულ იქმნას უბაჟოდ შემოიტანონ საზღვარ-გარეთიდან ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

— 14 ნოემბერს საგარეო საქმეთა მინისტრთან

გაიმართა თათბირი სპარსეთის საქმეთა შესახებ. აქ თათბირს დაესწრო იზვოლსკი (რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლში), მინისტრები: სამხედრო, ფინანსთა და სავაჭრო, აგრეთვე რუსეთის თეირანელი ელჩი გარტვიგი.

— პეტერბურგში ხოლოცით ყოველ დღე ავათ ხდება რამდენიმე ათი კაცი და ერთ შესამედზე მეტი იხოცება.

სპარსეთი.

გაზ. „ნოვ. ზაკ.“ საკუთარი კორესპონდენტი სწერს თავრიზიდან დეპეშით: „თავიანთ განზრახვის შესასრულებლად სათარხანის მომხრეები თანდათან სტოვებენ მცირე ატრიალებისაგან დაქერილს ზოგიერთს ადგილებს. საღმასტი ჯერ ფიდაების ხელშია, მაგრამ ხოი დასცალეს. რეაქციონერები აღტაცებულნი არიან, თუმცა ეინუდ-დოულესა და მის საშველად მისულ ჯარის ნაწილების წაწევის შესახებ კი არა ისმის რა. საქმის მკოდნეთა აზრით, სათარხანი ისეთს სტრატეგიულს თავდასხმას აპირებს, რომ ყველას გააკვირვებსო.

— ცნობები მოდის, რომ რევოლიუციონერებსა და რეაქციონერებს შეტაკება მოსვლიათ ხოიში. დანამდვილებით ჯერ არაფერი ისმის ამ შეტაკების შესახებ.

— სათარ-ხანმა საჩქარო დეპეშა მიიღო მარაგიდან. რევოლიუციონერები სთხოვენ გაუგზავნოს იარაღი და სურსათი, რადგან შაჰის მომხრე გუბერნატორი სალიმ-ხან-ჩარდოვლი 500 ცხენოსან მხედრით გვიპირებს თავდასხმასო.

— რუსეთის გაზეთებს სწერენ პარიზიდან, რომ თავრიზის რევოლიუციონერებმა თხოვნით მიჰართეს ჟორესს, იღონეთ რამე და ისე მოაწყეთ, რომ საფრანგეთის პრესამ ჩააგონოს რუსეთს, ნუ ერევა სპარსეთის საქმეში და მხარს ნუ უჭერს შაჰს. რუსეთი თუ არ გაერევა სპარსეთის საქმეში, შაჰს არას გზით არ შეუძლიან რევოლიუციის დამარცხებაო.

— ახალგაზდა ოსმალებმა ორი ბატალიონი საუკეთესოდ გაწვრთნილი ჯარი გაუგზავნეს მისაშველებლათ სპარსელ რევოლიუციონერებს. ოსმალელი მკომრები ქურთების ტანისამოსში გამოწყობილნი შევიდნენ თავრიზში. სპარსელი რევოლიუციონერები დიდის აღტაცებით მიეგებნენ თანამგრძნობ გმირებს, ზარბაზნები დასცალეს ნიშნათ მათის მოსვლისა და პატივისცემისა.

ირანის მბრძანებელი, რა თქმა უნდა, განუსაზღვრელათ თურმე ააშფოთა ოსმალეთის ჯარის „სტუმრობამ“ და რუსეთს ეპოტინება: რუსულ გაზეთის ერთ კორესპონდენტისათვის განუცხადებია სპარსეთის მთავრობას, ჩვენ ვერ ვახერხებთ პროტესტი განვუცხადოთ ოსმალეთს, მაგრამ იმედი გვაქვს, რუსეთი განუცხადებს პროტესტს ამის გამოო.

— რევოლიუციონერი ძალა სპარსეთში თანდათან მატულობს. მთელი საღმასტი ეხლა იმათ ხელშია. მთავრობისაგან გზის მცველებათ დაყენებულ კაზაკებისა და სარბაზნების უმთავრესი ნაწილიც კი რევოლიუციონერებს შეუერთდა და მათთან ერთად იბრძვის.

დებელთა“ დაზღვევის კანონს ერთმანეთში დამხალივით ურევს. ეს ორი სხვა და სხვა ეკონომიურ მდგომარეობის, სხვა და სხვა ინტერესების მქონე კლასის ერთმანეთში შედუღება-შერევა დიდ შეცდომათ, დიდ ნაკლოვანებათ უნდა ჩაითვალოს. ამით აშკარად გამოსკვივის, რომ პროექტის დასახელებული ადგილი „ქრისტიანულ-სოციალისტების“ გავლენის ქვეშ გამოცხობილი ძლიერ სიმპატიურია საყოველთაო სოციალურ დაზღვევის კანონის ცხოვრებაში გატარება, მაგრამ ამისათვის შესაფერისი, მიზან შეფარდებული ზომებიც არის საჭირო, რაიც დღეს მთავრობას არ მოეპოვება. თვითონ მთავრობას ექვი შეაქვს „დამოუკიდებელთ“ თავისუფალ თანხმობის გამოცხადებაში, რის გამო წინადადებას იძლევა მათ დაზღვევას იძულებითი ხასიათი მიეცეს, მხოლოდ დიდის სიფრთხილითა.

„დამოუკიდებელთ“ ევალებათ თვითრად თითო კრონის (ორი აბაზია) გადახდა 40 წლის განმავლობაში სიბერის რენტის აღების უფლების მოსაპოვებლათ მაშინ, თუ კი გლეხი 65 წლის იქნება, წლიურად მიიღებს სახელმწიფოსაგან 246 კრონს (1000 მან.). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიბერის რენტის რაოდენობა გლეხის თვითურ გადასახადის რაოდენობაზეა დამოკიდებული; რამდენათაც მეტია გადასახადი, იმდენათ დიდია თვით რენტა. აშკარადება ამ მუხლის უვარგისობა, უმთავრესათ უვარგისობა იმ საშუალებათა, რომელთა შემწეობით სიბერის რენტისათვის საჭირო ფული უნდა შეგროვდეს. რამდენად გლეხი, მაგალითად, განსაზღვრულ გადასახადის წესიერად გადახდას შეიძლება, იმდენად უეჭველია, კანონი ნებაყოფლობითი ხასიათის იქნება; მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენად ის სავალდებულო გადასახადს დაატებს გლეხს კისერზე, იმდენად ის დაპკარგავს მიმზიდველობას ფართო მასსაში, იმდენად დღენი მისი დათვლ ლად უნდა ჩაითვალოს. შეგვიძლია სავსებით დარწმუნებული ვიყოთ, რომ პირველსავე პრაქტიკულ ნაბიჯზე ეს უღმობელი მსაჯული ამ კანონის შეუსაბამობა-უვარგისობას დაადასტურებს. მაშინ კი აუცილებელ საჭიროებათ გადაიქცევა იმის განხორციელება, რასაც ს.-დემოკრატია იმ თავითვე ითხოვდა და ფიქრობდა. მაშინ საჭირო შეიქნება „დამოუკიდებელთა“ დაზღვევის კანონის მუშათა ინვალიდობისაგან დაზღვევის კანონიდან გამოყოფა, მისი, ე. ი. „დამოუკიდებელთა“ დაზღვევის საკითხის სხვა წიადაგზე დაყენება, მის განსახორციელებლათ სხვა საშუალებების აღმოჩენა. ცხადია, ეგეთი დომხალივით არევა-დარევა სხვადასხვა კანონისა მხოლოდ ტორმასად, მხოლოდ დამაბრკოლებელ მომენტად დაადასტურა და ისედაც რთულ, ძნელ ხაჭმეს უფრო გაართულებს, უფრო გააძნელებს და დაავიანებს.

შედარებით მეტი გამჭირაზობა, მეტი სალი გონება მთავრობას მუშათა ინვალიდობისაგან დაზღვევის საკითხის გადაჭრაში გამოუჩინია; ვამბობ, შედარებით მეტი გამჭირაზობა, რადგან აქაც ბევრია ცული ღირსების

მარგალიტები. პირველი უეჭველი ღირსება ინვალიდობისაგან დაზღვევის მუხლისა იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა მუშათა კატეგორიებს ეხება. ამ მუხლით შეუძლიანთ ისარგებლონ ინდუსტრიულურ და ხელოსნურ მუშებმა, სასოფლო მეურნეობაში და დღიურ მომუშავეთ, მოსამსახურე პერსონალმა, ოჯახის დამხმარე წევრთ, შინაურ მასწავლებელთ, მკერავ-მრეცხველთ და სხვ. მთავრობის გამოანგარიშებით ამათი რიცხვი ექვს მილიონს უდრის. გამორიცხულნი არიან უკვე ინვალიდები და ის პირები, რომელთა ხნიერება 60 წელს გარდასცილებია, და რომელთა წლიური სამუშაო ქირა 2400 კრონს (960 მან.) აღემატება. თავის დაზღვევა მუშას 16 წლიდან შეუძლია, მანამდე კი არა სრულწლოვანად არის გამოცხადებული. გადასახადი ოთხი წლის განმავლობაში უნდა იხადოს, რომ ინვალიდობისაგან დაზღვევის რენტა რამე უბედურების შემდეგ მიიღოს. გადასახადთა რაოდენობის მიხედვით მუშები ექვს კატეგორიათ იყოფა პირველი კატეგორიის მუშა კვირეულად 13 ჰელერს (4 კაპეიკია) იხდის, მეორესი — ორჯერ მეტს და მიყოლებით. თავის მხრივ სახელმწიფო თითო რენტიორისთვის 90 კრონს (36 მანეთს) გაიღებს.

ამ მუხლში მიღებულია მხედველობაში აგრ თვე სხვადასხვა მოსალოდნელი გარემოებანი; მაგ. თუ დაზღვეული მუშა დროთა ვითარებისა გამო „დამოუკიდებელ“ პირად იქცევა, მაშინ მას ინვალიდობისაგან დაზღვევის უფლებით სარგებლობა ესპობა და გადახდილი ფული უკან უბრუნდება, ან და ეს ფული ჩაეთვლება, როგორც გადასახადი სიბერის დაზღვევისა რენტის მისაღებად; მეორე მხრივ, თუ მას სიკვდილი ეწევა, მაშინ მისი ქირისუფალნი გადახდილ ფულს საჩუქრათ უკან იღებენ. მხედველობაში მიღებულია ბევრი სხვაიც, რომლის ჩამოთვლას ეხლა ვერ გამოვუდევებით. საყურადღებოა, თუ როგორ განმარტავს კანონ-პროექტი ინვალიდობის ცნებას; აი, რას ვკითხულობთ: „ინვალიდათ ითვლება ის პირი, რომელსაც სიბერის, ავადმყოფობის ანუ სხვა გვარ დამაბრკოლებელ მიზეზის გამო არ ძალუძს ხანგრძლივით აკეთოს ერთი მესამედი იმისა, რასაც გონებრივად და ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანი მგზავსი ცოდნის და ნიჭის პატრონი იმავე ალაგას აკეთებს“. როგორც სჩანს, კანონ-პროექტი ამით ხანგრძლივ მუშაობის უნარის დაკარგვას აღნიშნავს, როგორც აუცილებელ პირობას ინვალიდის რენტით სარგებლობისთვის. საქმე იმაშია, რომ აქამდე არსებული აქ „ავადმყოფთა დამხმარე კასსა“ ძალაში რჩება; მას ეხლა განსაკუთრებული ფუნქციები გადაეცემა. ამ დაწესებულებას ეხლა უფრო ფართო წიადაგი ექნება, მისი წევრთა რიცხვი საგრძნობლად მოიმატებს, რადგან მკიდროთ უკავშირდება ინვალიდობისაგან დაზღვევის საქმეს. აი ამ დაწესებულებამ უნდა აღმოუჩინოს ავადმყოფ მუშას დახმარება ერთი წლის განმავლობაში, თუ კი იმედია, რომ სავსებით გამომრთელება, საზოგადოდ, შესალებელი

არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ „ავადმყოფთა დამხმარე კასა“ მუშის სახეებით სენისაგან განთავისუფლების შეუძლებლობას აღიარებს, განთავისუფლებას იმგვარად, რომ ის სამუშაოში გამოსადეგი იყოს, მაშინ მას ინვალიდათ აცხადებს ზემო აღნიშნულ მუხლის ძალით და შემდეგი დახმარებაც სათანადო დაწესებულებას ევალება. მაშასადამე, ინვალიდის რენტის მიღება შეიძლება იმ წუთიდან, როგორც კი ინვალიდობა გაჩნდება, მხოლოდ ერთი პირობით, — სახელდობრ, ოთხი წლის განმავლობაში გადასახადის გადახდის შემდეგ. აქაც, როგორც სიბერის რენტა, ინვალიდის რენტის რაოდენობა დამოკიდებულია გადასახადის რაოდენობაზე. პირველი კლასის მუშის რენტა 124 კრონს (59 მანეთს) უდრის, მეორეს — ცოტა მეტს და ასე ზევით; მეექვსე კლასის მუშა 298 კრონს (120 მან.) იღებს. ეს ეხება იმათ, ვისაც კვირეული გადასახადი მხოლოდ ოთხი წელიწადი უხდიათ. შემდეგ კი წლების რაოდენობის მიხედვით, თუკი ინვალიდის რენტა მატულობს, მაგრამ ძლიერ ნელა და მკირედ. მაგალ., თუ დაზღვეულ მუშას ორმოცი წლის განმავლობაში გადასახადი უხდია, ის, თუ პირველ კლასს ეკუთვნოდა, ე. ი. 12 ჰელერს კვირეულად იხდიდა, — იღებს სახელმწიფოსაგან მხოლოდ 168 კრონს (67 მან.), მეექვსე კლასის კი 558 კრონს. როგორც სჩანს მოყვანილ რიცხვებიდან, განსხვავება დროის მიხედვით ძლიერ პატარა და არა საგრძნობელია.

დასასრულ, თუნდ ორიოდე ქიტყვით ერთი ფრიად ღირს შესანიშნავი დაწესებულების მოხსენება არ იქნება ურავგო კანონ-პროექტის უმთავრეს მუხლების ჯეროვან გასაცნობათ. წინედაც არსებობდა — და ეხლაც კანონ-პროექტი მის არსებობას ამტკიცებს — ორგანიზაცია ერთ დროულ დახმარებისა რაიმე უბედურების გამო დაშავებულ მუშისათვის. არსდება მოკლედ რომ ესტკეა, უბედურ შემთხვევისაგან მუშათა დაზღვევა. წინედ თვით მუშა 50 პროც. იხდიდა, დღეს კი ამ დაწესებულების შენახვა სახეებით მუშების დამქირავებელთ აწევება კისერზე. ეს დიდი ნაბიჯია წინ მუშათა დაბეჭავებულ მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეში.

ნათქვამიდან ნათლად სჩანს, რომ კანონ-პროექტი მედარებით პროგრესიულია, მხოლოდ სახეებით მუშათა დაზღვევის საკითხის გადაჭრა მას მაინც ვერ ძალუძს. თუ ის კანონად იქცა, მაშინ ცხოვრება ბევრს შესწორება-დამატების საჭიროებას დაანახვებს ყველას; უაღრესი მნიშვნელობა კანონ-პროექტისა მდგომარეობს იმაში, რომ პირველად მხოლოდ ეხლა შეიძლება გაჩაღდეს ენერგიული და საფუძვლიანი მუშაობა ამ რეფორმის განხორციელებისთვის. დღემდე რეფორმის ერთ-ერთ გამოსაცნობელ ქარხანას წარმოადგენდა წყვილით მოცული, საიდუმლოებით სახსე სამინისტროს ბიურო, დღეს კი სიმძიმის ცენტრი პარლამენტშია გადატანილი. ეხლა ს. დემოკრატიული მუშათა პარტიის პოზიციაც დღესავით ნათელია. ს. დ., პარტიამ, როგორც პარლამენტში, ისე მასსაში მტკიცედ უნდა დაიცვას თავის შე-

ხედულება ამ საკითხზე; მან მთელი თავისი დიდნიდან-ვე შეძენილი გამჭრიახობა-გამოცდილება, ძალა და ენერგია უნდა შესწიროს ამ მეტად მნიშვნელოვან კანონ-პროექტის შესწორება-შეკეთებას.

ამგვარად, ერთხელ კიდევ წამოდგა ავსტრიაში, — ამ ნაციონალისტურ შოვინიზმით გაჟღენთილ სახელმწიფოში, ერთი მეტად სერიოზული და საჭირო-ბოროტო საკითხი, რომლის ასე თუ ისე გადაჭრას მოუთმენლად შესცქერის მრავალ-მილიონი მუშა ხალხი. რა იქნება, როგორ გადაწყდება — ამას მომავალი გვიჩვენებს...

მ. მაგლობლიშვილი.



წ ე რ ი ლ ი ბ უ რ ი დ ა ნ

დროთა ვითარება საბრძნობლათ შეიცვალა. ერთხელ კიდევ, ცხოვრების ზედა პირზე ამოტივტივინ ბნელი ძალები და თავისუფლების მოდარაჯე „პოსტზე“ იერიში მიიტანეს.

მიდის თვეები, წელიწადები, მიდის დრო, მაგრამ არ იქნა რა არა, გურიის ტანჯულ-წამებულ გლეხ-კაცობას ერთი თავისუფლათ ამოსუნთქვა არ ეღირსა. ხალხს ათასბგარი უბედურება-განსაცდელი ატყდება თავს და ეს გრძელდება დაუსრულებლივ.

წარსული ორი წელი, ეს ტანჯვა-ვაგების მწვევა ტკივილები იყო გურიისათვის, მასიური რეპრესიები, საბრძნობლად დასახადები და ამას ზედ ერთოდა შიმშილობა. მიმდინარე წელიწადიც უცნაურია. დღეს რასაკვირველია ფაქტია, რომ რეაქტია მიდის თავის ლოლიკურ დასკვნამდე. მთელ რუსეთის იმპერიაში ასეა; ის ძირფესვიანათ სპობს სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობის მიერ დატოვებულ თავისუფლების ნაფლეთებს და გურია ამ მოვლენას ხომ ვერ ასცდებოდა. გურიის გლეხ-კაცობამ ასე თუ ისე, რამდენათაც შეიძლებოდა მაშობო უღმობელ კანონს, ის დაემორჩილა ისტორიას და გადიტანა 1906—7 წ. წ. ტკივილები და აი, მიდის 1908 წელიც, ამ წლის ტკივილები ბაცილებით უფრო მწვევე და აუტანელია.

1907 წელს. ე. ი. ტ—ვის ბატონობის დროს გურიას გამოუცხადეს დრამა ფულის გადახდა. მაგრამ ამ გამოცხადებას ხალხი არ დაემორჩილა, ამას ბურიის საზღვდელოებამაც მხარი დაუჭირა. მაგრამ გარდა გურიისა დრამა ფული თითქმის მთელ საქართველოში აღეს და ამ მოვლენამ აქაურ მღვდლებსაც საღერდელი აუშალა, „მადანუ“ მოყვანა, მათშიაც იჩინა თავი ამ ტენდენციამ რის შედეგიცაა, რომ სამღვდელოებას მიუვიდა ამ რამოდენიმე ხნის წინათ უმდღეს მთავრობიდან ცირკულიარი — წერილი: შედგეს სია დრამა-ფულის გადახდელების, ამასთანავე ცნობაში მოვიდეს თუ რამდენი წლის არის გადახდელი და წარდგენილი იქნას სადაც ჯერ არს საჩქართო. აქედან ცხადია, რომ მთავრობა უკვე შეუდგა დრამა-ფულის აღებას. ხალხი კი ძლიერ გატივრებულია, მას სარჩო-საბადებელი სანახევროთ შემოღებული აქვს და თუ რამდენიმე წლის დრამა-ფული დაურჩა გადასახდელი, ეს კიდევ ხელს შეუწყობს მის ეკომომიურათ დაცემას, გადატაკებას და შიმშილობას. თვით მასსა დაემორჩილება დრამა-ფულის გადახდას თუ არა, ეს ჯერ ჩვენთვის გამოუჩვენებელია. დაუჭერს წარსულ წელსავით მას მხარს და იტყვის უარს დრამა-ფულის აღებაზე? ეს კი საეჭვოა. მაგრამ ყოველ შეეთხვევაში ეს მიიღებს მწვევე, სერიოზულ ხასიათს.

მთავრობის ჩაყენებული მამასახლის-სტრანეიკები უკვე კარგა ხანია, რაც ქართლში, იმერეთში და სამეგრელოშია. ამ მხრით გასულ წელს (1907 წ. ოკტ. და ნოემბ.) გენ--გუბ. ტ—ვმა, გურიაშიც მოინდომა მთავრობის მამასახლისების ჩაყენება და საზოგადოებებს მოსთხოვა, რომ „პრიგოვორი“ შედგინათ — საჭი-

როა მთავრობის მამასახლის-სორაჟნიკების ჩაყენება სოფლებში. მაგრამ არც ერთი სიზოგადობა ამაზე არ დაეთანხმა ტ—ვს და „პრიგოვარი“ არ შეადგინეს, თუმც ამისათვის ბევრი უბედურება გადახდათ თავს, ებზეკუციები და სხვ. შემდეგ თავად-აზნაურებს მიმართა და შემუშავა გეგმა „პრიგოვარის“, რაზედაც დაეთანხმენ თავ. აზნაურთა შავრაზმული ნაწილი, მაგრამ პრობრესიულ ნაწილმა ხელი შეუშალა და ბანზრახულება ჩაშლილ იქმნა. ესლა კი, ტ—ვის მიერ შემუშავებულ პროექტის „პრაქტიკაში“ გატარებას ბ-ნი ქ—ვილი შეუდგა. ამ რამდენიმე თვის წინათ ჩაყენეს ბასილეთის საზოგადოებაში. ესლა კი, ასეთივე მთავრობის მამასახლის-სტრაჟნიკები მოველინა ჩოჩხათის, მიქელ-გაბრიელის და ხვარბეთის საზოგადოებებს. ახდევინებენ ერთად ნახევარი წლის მათ ჯამაგირისათვის ბადასახადს ხალხს, აგრეთვე მათ იარაღებისათვის ფულს, ჩოჩხათის საზოგადოებას—2,000 მანეთამდე, ხვარბეთის—2,000 მან. მიქელ-გაბრიელის 2,000 მან. და ბასილეთს 1,800 მან. თითოეულ მოსახლეს 6—12 მანეთამდე ახდევინებენ. დღეს თუ არა, ხვალ ასეთი დღე მოელის მთელ გურიის საზოგადოებებს.

ხალხი ძლიერ შევიწროებულა, მთავრობის მამასახლის-სტრაჟნიკთა ბადასახადებით. ყველა საზოგადოებამ პირველათ უარი განუცხადა ამ ბადასახადებზე, მაგრამ იძულებით შეუდგნენ მოვროვებას. ჩოჩხათის და მიქელგაბრიელის საზოგადოებაში ახალ შენახული სიმინდი გააქეთ და ჩალის ფასათ ყიდიან, ფულს ბადასახადში იტოვებენ. ხალხს ერთი ბროში არ გააჩნია, მთელი ზაფხული ბაჭყარება-შიმშილში გაატარა, მთელი ერთი წლის სარჩო-საბადებელს ართმევენ და გადასახადში მიაქეთ. ორიოდ ფუთი სიმინდი მოვიმუშავე ტანჯავა-წამებით, დღეს ღამესთან ვასწორებდი, იმით მოველოდი ერთხანს ცოლშვილის ბამოვებას, ისიც ჩალის ფასათ გაბვიყიდეს, წაიღეს მამასახლისის ჯამაგირში და მე მშრალზე დაგრიჩა, გვოხრა ერთმა იქაურმა გლეხმა. ასეთი ფაქტები ურიცხვია.

ესლა ამას დაუმატეთ მემამულეთა „ზარალის“ ანახლაურება, რასაც მემამულენი „ჯეროვანის“ ზომებით ესწრაფიან, ისინი 10 მანეთის ზარალში 100 მანეთს თხოვლობენ საზოგადოებიდან. ბურიში ასეთი ზარალი, რომელიც მოძრაობის დროს მიადგა მემამულეებს, არის ესლა ბადასახადელი 92000 მან. ხალხი დიდს ბამწარებაშია. მის თხოვნას არგინ აქცევს ყზრადღებას. გამოსავალი გზა ვერ უპოვნია, რა მოელის არ იც ს... არსით ხსნა, არსით შევლა.

ხალხმა არ იცის რა ჰქმნას, დააკმაყოფილოს ყველა ეს ზემოთ აღნიშნული გადასახადები? სად აქვს საღსარი. უმეტეს ნაწილმა ოჯახი რომ გაყიდოს ვერ შესძლებს. არა და რა წყალში ჩავარდეს? ასეთ მდომარეობაშია მომწყვდეული დღეს გურიის დატანჯული ხალხი და ბამოსავალს ეძებს...

რომორ წავა საქმე? ამას დაგვანახებებს ახლო მომავალი.

ჭერკულესი.

მეფე უიმშილი.

(თხზ. ლეონიდ ანდრეევისა)

წარმოდგენა ხუთ სურათად, პროლოგით.

(გამრძელება, იხ. „მნათობი“ № 1)

მეფე უიმშილი.

შვილებო, ჩემო საყვარელო შვილებო! გავიგონე თქვენი ოხვრა-კვნესა და მოვედი. თავი დაანებეთ სამუშაოს, მოდით ჩემთან, თავი დაანებეთ სამუშაოს!

გავარვარებულ ქურიდან გამომკრთალ სინათლით განათებული, შეჩერდება და ელოდება, მუშები ნელ-ნელა იკრიბებიან მის გარშემო, მხოლოდ სამი მათგანი

მიეა სინათლის ზოლთან და გარკვევით გამოჩნდება, დანარჩენები შავ აჩრდილებივით შეჯგუფულან; ზოგვან შემთხვევით სხივი მიადგება და ბნელაში მოსჩანს მიწველი ლონიერი მხარ-ბეჭი, აწეული ჩაქუჩი, ან დაღვრეული პროფილი მუშისა. და ისინი, რომელნიც გარკვევით მოსჩანან, ამგვარივე არიან თავისის გარეგნობით.

პირველი მუშა—თავისის ძლიერი ტანითა და მეტად დაღლილის გამომეტყველებით ფარნების ჰერკულესსა ჰგავს. მისი მხარ-ბეჭის სიგანე, მრავალი ჯმუხი ძარღვები ხელებსა და გულმკერდზე ჰმოწმობენ იმის უჩვეულებრივო გადაქარბებულ ღონეს, რომელიც სულს უზუთავს და აწუხებს პატრონს. დიდს ტანზე პატარა, ნაკლებათ განვითარებული თავი დაბალის შუბლით და ჩამქრალის მოჩრჩილის თვალებით. ამ დახრილ თავში რაღაც მძიმე და მტანჯავი პირუტყვეული სიჩლუნგე იხატება. მუშის ორივე ხელი უღონოდ არის დადებული უზარმაზარ გრდემლის ტარზე.

მეორე მუშა—ახალგაზრდაა, მაგრამ ჯანგამოცლილი, დასნეულებული, უკვე ახველებს. იგი თამამიცაა და მშიშარაც. ამაყი და ისე მოკრძალებული, რომ ლაპარაკის დროს ენა ეშლება. დაიწყებს ლაპარაკს გატაცებით, ოცნებობს, ჰბოდავს და უცებ შეკრთება, დამნაშავესავით გაიღიმებს. დედამიწაზე იგი მსუბუქად ჰგრძნობს თავს, თითქო სადღაც ზურგთ უკან ფრთები ასხიაო. სისხლს ახველებს და ღიმილით შეჰყურებს ზეცას.

მესამე მუშა—გამხდარი, უფერული მოხუცია, თითქოს მთელის სიცოცხლის განმავლობაში მყავბადში ყოფილა დამბალი და სიცოცხლის ფერი წასვლიაო. ესევე სუსტი და მიკნავეებულია იმისი ხმა; ისე ლაპარაკობს, თითქო მრავალ უძლოურ ადამიანთა აჩრდილნი ლაპარაკობნო. პატარა ჩაქუჩების ხმა თითქმის სრულიად მისწყდება.

მეფე უიმშილი მბრძანებელის ხმით ლაპარაკობს: გაიგონეთ, ჩემო საყვარელო შვილებო! მე მოვიარე შრომის ყოველი სამეფო, სამეფო უიმშილისა და სიღარიბისა, უუფლებობისა და დაღუპვისა—ყოველად დიადი და უბედურია სამეფო ჩემი. ვის უნახავს უიმშილი მომტირალე? და მეკი ვტიროდი, ჩემო შვილებო, ვტიროდი სისხლის ცრემლებით, როცა ვხედავდი თქვენს, ძმების უბედურებას. ვაება, ვაება მუშათ!

მუშები წყნარად უპასუხებენ:

ვაება!.. ვაება... ვაება მუშებს!
—სალამი მოგიტანეთ თქვენის ძმებისაგან. ამასთანავე მოგიტანეთ დიდებული შემოთვლილობა თქვენის ძმებისა; მოემზადეთ ასაჯანყებლად.

სიჩუმეა. დაიგრგვინებს გრდემლი.

— მოემზადეთ ასაჯანყებლად! უკვე უჩინრად ფრიალებს ჩვენს თავზე იმისი სისხლის დროშა და თითონ ზარი, ქვეყნის ტანჯვით მორთოლვარე, ერთის ყოფითა ჰრეკს ღამ-ღამე. მე გავიგონე იმისი ხმა.

სიჩუმეა. **პირველი მუშა** თავის მძიმე ხელს დაადებს

მხარზე მეფე შიმშილს, რამდენადმე დახნიქავს მას და ყრუ, ძლიერის ხმით ლაპარაკობს, თითქო მიწის გული დან ამოისმის ეს ხმაო.

— მე მუშა ვარ! მოხუცი ვარ ისე, როგორც დედამიწა. შევასრულე ყველა თორმეტივე საგმირო საქმე, ვწმენდი საჯინბოს, ვსქრიდი ჰიდრათა თავებს, ვტყეპნიდი და ვთხრიდი მიწას, ვაშენებდი ქალაქებს; და ისე შეცვალე დედამიწის სახე, რომ ეხლა თვით შემომქმედიც ველარ იცნობს იმასა. არ ვიცი, რისთვის ვშერებოდი ყველა ამას? ვის ნებას ვასრულებდი? რა მიზნისაკენ მივისწრაფოდი? თავი დამიჩლუნგდა, დავიღალე საშინლად. ჩემი ძალა მევე მჩაგრავს. ამიხსენი მეფევ! თორემ ავიღებ ამ ჩემს გრდემლსა და ფუტურო კაკალსავით დავამსხვრევ ამ დედამიწას.

მრისხანეთ ასწევს გრდემლს.

— დაიცადე შეილო! შეინახე ეგ შენი ძალა უკანასკნელ დიდ აჯანყებისათვის, მაშინ გაიგებ ყელაფერს.

მუშა დაღვრემილად და მორჩილად.

მოვიცდი.

მეორე მუშა მიუახლოვდება მეფე შიმშილს, აღეღვებით ლაპარაკობს და მეორეზე უჩვენებს.

— მაგას არაფერი არ ესმის, მეფევ, მაგასა ჰგონია, დედამიწა უნდა დაამსხვრიოს. ეს ხომ ტყუილია, მეფევ. დედამიწა ისეთი მშვენიერია, როგორც სამოთხე ღვთისა, იმას უნდა მოვლა და აღერსი, პატარა გოგონასავით, ბევრი მათგანი, აი, იქ ბანაკში რომ დგანან, ლაპარაკობს, ვითომ არც ზეცა არის, არც მზე, ვითომ ქვეყნად მუდმივი წყვდიადია. აბა იფიქრე: მუდმივი წყვდიადი! ახველებს.

მეფე შიმშილი.

რათაა, რომ სისხლს ახველებ და ზეცას კი ღიმილით შეჰყურებ?

— იმიტომ, რომ ჩემს სისხლზე ყვავილები ამოვლენ, მე უკვე ვხედავ კიდეცა იმათ. ვნახე ერთს მდიდარსა და ლამაზ ქალს გულზე გაეკეთებინა წითელი ვარდი, და კი არ იცოდა, რომ ეს ჩემი სისხლი იყო.

მეფე შიმშილი დაცინვით.

შენ პოეტი ხარ, ჩემო შეილო. ხომ არა სწერ იმათებურ ლექსებს?

— მეფევ, მეფევ, ნუ დამცინი. უკუნეთში დავეჩვიე ცეცხლთ თაფვანისცემას. სიკვდილის პირად მიღწეულმა შევიგენ მხოლოდ რა მშვენიერებაა სიცოცხლე. ო, რა მშვენიერებაა! მეფევ, — ეს იქნება მშვენიერი ბალი, იქ, ერთმანეთის ხელშეუხებლად, ისეირნებენ ნადირნი და ადამიანნი. არ გაჰბედო ნადირთა შეურაცხყოფა! არ გაჰბედო ადამიანთა შეურაცხყოფა! დაე ისეირნონ, დაე ეამბორნენ ერთმანეთს, დაე იაღერონ, დაე!

მწუხარე დაუმატებს:

— მაგრამ სად არის გზა? სად არის გზა? ამიხსენი, მეფე შიმშილო.

მეფე შიმშილი მტკიცედ და მწუხარედ:

აჯანყება.

მუშა ნაღვლიანად ამბობს:

ძალადობიდან თავისუფლებისაკენ? სისხლიდან — სიყვარულსა და აღერსზე?

მეფე შიმშილი.

სხვა გზა არ არის.

სიჩუმე. მძიმე ოხერა. მოდის მესამე მოხუცი მუშა, და მიხრწნილის ხმით ლაპარაკობს:

— ცრუობ, მეფე შიმშილო. ასე მოჰკალი შენ მამა ჩემიც, ჰაპაჩემიც და პაპის პაპაც; ჩვენც გინდა ასე მოგვკლა. საით მიგყავართ უიარაღონი? განა ვერა ჰხედავ, როგორი უფიცნი, ბრმანი და უღონონი ვართ? შენ მოლაღატე ხარ. ეს მხოლოდ ჩვენთან ხარ მეფე, მათთან კი ფარეში, სუფრაზე მოსამსახურე. ეს, ჩვენთან ატარებ გვირგვინს, იმათთან კი ხელსახოცით დაღიხარ.

მეფე შიმშილი მრისხანედ ჰყვიროს:

— დაჩუმდი! შენ გამორჩევილებული ხარ!

მტკიცე ხმები:

- არა.
- დაე ილაპარაკოს.
- სთქვი, მოხუცო.
- და შენ კი, მეფევ, ყური უგდე.

მეფე შიმშილი ბოღიშის მოხდით ლმობიერად:

მაბატეთ, შეიღებო, რასაკვირველია, დაე ილაპარაკოს, სთქვი, მოხუცო, ნუ გეშინიან.

— მე არ მეშინიან. მე პატარა ბურღი ვარ მანქანისა — საშიში რა მაქვს. შენ კი რათ გვატყუილებ?... რათ შთაგვაგონებ ცრუ რწმენას გამარჯვებისას? განა მშვიერს ოდესმე გაუმარჯვნია?

მეფე შიმშილი.

არა, მაგრამ ეხლა გაიმარჯვებს.

ხ მ ე ზ ი:

- აუცილებლად უნდა გადავრჩეთ.
- ასე სიცოცხლეს შეუძლებელია.
- სიკვდილი სჯობიან ამ სიცოცხლესა.
- სხვა გზა არ არის.

პირველი მუშა:

თუ არა და ჩემს გრდემლს აღვმართავ...

მეორე მუშა.

თუ სხვა გზა კი არის?

- რა გზა?
- სთქვი! რა გზა?
- ეგ ჰბოდავს!

ჰგროვლებიან მეფე შიმშილისა და პირველ მუშის გარშემო მეორე მუშა ოცნებით:

ვითომ... რომ ესინჯოთ... ოცნებით ავანთო დედამიწა!

სიცილი. მეორე მუშა აღელვებითა და ჩქარა ლაპარაკობს:

— დაიცადეთ. არის სხვა მეფე და არა მეფე შიმშილი (შეშინებული). მაგრამ არ ვიცი რა ჰქვია იმასა.

სიცილი. მეფე შიმშილი მფარველის კილოთი:

— შენ პოეტი ხარ ჩემო შეილო. პოეტებს დედამიწა არასოდეს არ აუნთიათ. იმისი ანთება შეუძლიან მხოლოდ ერთად-ერთს ძლიერს, ერთად-ერთს დიდებულს და ყოველის მძლეს მეფე შიმშილს! ყური მიგდეთ, შეიღებო!

თავს ჩაქინდრავს და ლაპარაკობს ზოწყენით და ძლიერად.

— აქ თქვენმა მოხუცმა ფარეში მიწოდა. მე გან-
ერისხდი, რადგან მძიმე იყო ჩემკენ გადმოსროლილი
შეურაცხება, მაგრამ ეს მართალია... მე ფარეში ვარ.
მოსამსახურე ვარ მაძლართა. მე დაქირავებული მკვლე-
ლი ვარ. ო, გაიძვერა, ო, საზიზღარო ადამიანო, რა
მიყავი შენ? საგმობრად აქციე შენ ჩემი დიდებული,
პირველგებული ტახტი!

ლაპარაკობს ნაზად, აღერსიანის ხმით:

— ოჰ, შეილებო, ო, ჩემო საყვარელო შეილებო!
შეჭხედეთ ტყეს, ჩააკვირდით მდინარეთა სიღრმეს, ზღვა-
თა და ჭაობთ, საცა ჯერ კიდევ ვმეფობ მე სვემორ-
ქმულად, რა მშვენიერებაა იქა! და იქ ბევრი მიცვალე-
ბულია, მაგრამ არ არის ძალად დახოცილი, არც დამ-
ხვალთ. რადგან ჩემს დიდებულ სამეფოში მე მეფე ვარ
მართლმსაჯულებისა!

რისხვით აღინთება.

— და აქ კი! ოჰ, გაიძვერა, ოჰ, საზიზღარო ადა-
მიანო! არარაობა, მაძლარი ზის დორბოლებ გადმამდი-
ნარე და კიდითი კიდე მარბენინებს, როგორც ცოფი-
ანს, მაგრამ მორჩილს, ძალსა. მეფე შიმშილო, იქით!
მეფე შიმშილო, აქეთ! დაჰხოცე ისინი! დაასუსტე ესე-
ნი! გაჟლიტე ბავშვები და ქალები! წარუტაცე სიმშვე-
ნიერე და ძალა მშვენიერს სხეულს და დაე ქვეყანად
ვიყო მხოლოდ მე, მაძლარი, გამოფიტული არარაობა.
ჭამა არ მინდა, მაგრამ პირში ჩამტენე ცხვრის ფეხი, ძა-
ლათ ჩასჩარე ჩემს გაბერილ ღიბს! და მეც ვტენი, ვტე-
ნი და ხელსახოცითა ვწმენდავ გაქონილ ტუჩებს!

მუშები იცინიან. მეფე შიმშილი გაბრაზებული აჰ-
ყვება იმათ და განაგრძობს:

— როგორ გაჰბედე შენ ჩემი ნების შეცვლა, ოჰ,
საზიზღარო და გაიძვერა ადამიანო! — მშიერნო, მომყე-
ვიო მაძლართა წინააღმდეგ! დაეუბრუნოთ ადამიანს
თავისი ძალა და სილამაზე, ხელახლა შევაცუროთ გა-
ნუსაზღვრელ მოძრაობის მორევი! მომყევით, მშიერნო!

აქეთ იქით აწყდება.

— ვინ სთქვა, რომ თქვენ სუსტნი ხართ? თქვენ
ხართ ძალა ქვეყნისა. განა შენ სუსტი ხარ!

შეცდომით მხარში ხელს წაავლებს მოხუცს, რო-
მელიც უღონოდ წაბარზკდება.

— ოჰ, მე შევცდი. შენ მართლაც სუსტი ხარ.
შენ კი, შენ, ჩემო მეგობარო?

ხელში ხელს წაავლებს პირველ მუშას და სიყვა-
რულით შესტკერის.

— განა ეს ძალა არ არის? განა ეს სილამაზე არაა?
შეხედეთ ამასა. ამ მკლავებს, ამ გულომკერდს! საყვარე-
ლო შეილო ჩემო, შენ ღირსი ხარ მეფობისა და მხო-
ლოდ მონა კი ხარ. მომეცი ეგ ხელი დაგიკოცნო.

თავგანწირვით, სასტიკად დაეცემა მუხლებზე და
ჰკოცნის მუშის მძიმე, მოღუნებულ ხელს.

პირველი მუშა.

— არაფერი არ მესმის.

ხმები:

- იმათ იარალი აქვთ!
- იმათ ჩვენი ჩამოსხმული ზარბაზნები აქვთ!
- იმათ ინჟენრები ჰყავთ!
- ნასწავლები!
- იმათ აქვთ უფლება, ძალა და ჯკუა!

მეფე შიმშილი კისერ წაწვდილი უგდებს ყურს.

- იმათ აქვთ მანქანები!
- საშინელი მანქანები!
- ბრძენი მანქანები!

მეფე შიმშილი ფეხს დაუბრაზუნებს და მრისხანედ
ჰყვირის:

- მერე და გაანადგურეთ ისინი! მე მძულს მანქა-
ნები! ისინი ცრუობენ, ისინი გატყუებენ, გიმონებენ
თქვენ. დაამტვრიეთ ისინი.
- მათ ზარბაზნები აქვთ!
- აქვთ და წაართვით ეს ზარბაზნები!

პირველი მუშა.

— მერე ვინ მოიხმარს ზარბაზანს? ჩვენ არაფერი
არ ვიცით, მეფე.

მეფე შიმშილი საშინლად ბრაზმორეული უეც-
რად გონება დაკარგული ყვირის მბრძანებელის ხმით:

- დაჩუმდით!
- და როცა ყველანი დაწყნარდებიან, მეფე შიმში-
ლი ძალდატანებით ლაპარაკობს და ძლიერს იქერს აბო-
ბოქრებულ მრისხანებას.

- უგუნურნო! ზარბაზნები სჭირია იმათ და არა
თქვენ. წაართვით მხოლოდ და ამით ძალას წაართმევთ,
დაიმორჩილებთ შინაურ პირუტყვივით, ტირილს მოჭრ-
თავენ და პატიებას გთხოვენ.
- ეგ მართალია!
- წაართვით ზარბაზნები და თქვენთან სასამსახუ-
როდ მოვლენ ინჟენერნი და მსწავლეულნი და თქვენ
იქნებით ბატონნი ქვეყნისა.
- ეგ მართალია!
- არა, ეს სიცრუეა. ძმებო. ახალი ღალატი მზად-
დება!
- არა, ეს მართალია!

მეფე შიმშილი.

აჯანყებისაკენ, შეილებო! ქუჩებზე! დაამტვრიეთ
მანქანები, დასჭერით თასმები, აავსეთ ქვაბები — ქუჩებ-
ზე! აჯანყებისაკენ, შეილებო, თქვენ დიდებული და
უბედური მეფე გიწვევს!

ხ მ ე ბ ი:

- ქუჩებზე!
 - გვეშინია!
 - მოგვკლავენ!
 - ქუჩებზე!
 - ასე ცხოვრება შეუძლებელია. შორს მხდლანი!
 - დაამტვრიეთ მანქანები!
 - გვეშინია!
 - გვეშინია!
 - შეგვიბრალე, მეფე შიმშილო, ჩვენ გვეშინიან!
- მეფე შიმშილი მბრძანებლურად გაჰშლის ხელს და
სიწყნარეს ჩამოაგდებს. და ქურიდან გამომშუქარე სი-
ნათლით სრულიად გაბრწყინებული, ცივისა და უიმე-
ლო მძინვარებით ლაპარაკობს:
- გეშინიანთ, შეილებო? აგრე იყოს. მაგრამ მო-
ისმინეთ ჩემი სიტყვა, მხდლნო. არა ბზის ტოტით მო-
ვედი თქვენთან მახარობლად, არამედ თქვენთან გამოგ-
ზავნილი ვარ მკვლევლობისათვის. თქვენ არ გინდათ შე-

აჩეროთ მანქანები, მაშ მე შევაჩერებ იმათ თქვენ არ გსურთ თაჲ დაანებოთ სამუშაოს, მაშ, მე დავანებებინებთ თაჲსა. აქედან თან გამყვებით. მე თქვენს სადგომებში შევიტყობი, დავახრჩობ თქვენს პაწაწა შვილებს, უკანასკნელ რძის წვეთს გავფუშრობ თქვენს დედებსა და ცოლებს, დავხოცავ იმათ. და იმათს ცხედრებზე მწარეს ცრემლით აქკვითინდებია.

მრისხანედ ჰყვირის:

— სიკვდილო! აკეთ!

სიჩუმეა და გულმომწყველელ მყუდროებაში სამჯერ გაისმის ნალარის ხრინწიანი ხმა, ჯერ უფრო მოშორებით, მერე უფრო ახლო და ახლო. თითქო წყვილადი გადაეფარაო, მოშორებული ქურები ჰქრებიან და მუშათა უკან, კუთხეში, ფეხზე დგება რალაც უზარმაზარი, შავი, უფორმო.

— ეს შენა ხარ, სიკვდილო?

სიჩუმე და ცივი, უკმაყოფილო პასუხი:

— დიახ—მე ვარ.

მუშები შიშით ეკვრიან ერთმანეთს და ჰშორდებიან იმ კუთხეს, სადაც შავათა და უფორმო ლაქად აღიმართება სიკვდილი.

მეფე შიმშილი.

გაიგონეთ? ის უკვე აქ არის. ის სდგას თქვენთან და მორჩილად ელოდება. ერთი მოძრაობა, მხოლოდ ერთი ნიშანი—და იგი უღმობელ შავს ღრუბლად მოეხვევა გარს თქვენს სადგომებს და თქვენს ცოლშვილს მოსწყვეტს. იცით, რას ნიშნავს, როცა ბნელ ქუჩებში გრძელი თოკივით გაბმულია კუბოები—პატარა კუბოება, ერთი ბეწო კუბოები—ფიცრის მღუმარე აკვნები?

სასტიკი სიჩუმე.

— გადასწყვიტეთ ბარემ, მხდალნო: ვინ მოკვდეს, ვინ დაიღუპოს? თქვენ თუ თქვენი შვილები ჩქარა, სიკვდილი იცდის!

სიჩუმე.

პირველი მუშა გაბედვით:

— ჩვენ!

მეორე მუშა:

— ჩვენ, ჩვენ!

მრავალრიცხოვანი სასტიკი, მორჩილი, აღტაცებული ხმა:

— ჩვენ! ჩვენ წავგიყვანეთ, სიკვდილო, გამარჯვება ან სიკვდილი!

ყვირილით ეცემიან უძრავ სიკვდილის ფეხ-ქვეშ. ქურას წითელის შუქით განათებული მეფე შიმშილი თავში ხელს წაივლებს და ხმამაღლად, უზომო თავგანწირულებითა და აღტაცებით ჰქვითინებს.

(ფარდა)

განდევილი.

(შემდეგი იქნება).



ვანო პ. სარაჯიშვილი

ჩვენი ახალგაზდა, გამოჩენილი მომწერალი, ამ ქამათ თფილისშია სახაზინო თეატრისაგან საბასტროლოთ მოწვეული. მისი ტკბილი, შემპარავი მომჯალღებელი ხმა და სიმღერის ცოდნა ბულის სიღრმემდე სწვდება მამენელს და უმწვევრვალეს აღფრთოვნებაში მოჰყავს იბი.

ათასსა და ათათასს წლობით დამორჩილებული სქეს-წაჩმოშობს თავისი დამონებისათვის შურის მძიებელთ. გავიხსენოთ ძველი ისტორიიდან: კლევპატრა, აგრიპინა, მესალინა, ახალი ისტორიიდან ლედი მაქკეტიპეტრე დიდის და სოფიო—ეს პიროვნებები, ასე ვთქვათ, შევენებული გამოხატულება არიან შეუფენებელ, სტიქიურ სიძულვილისა- ეს ადამიანები სხვა და სხვა გზას ირჩევენ შურის საძიებლათ, მაგრამ, მიუხედავთ იმისა, რომ ისინი ძლიერი პიროვნებები არიან, ყოველთვის დამარცხებულნი რჩებიან; ასე ემართება კარმენსაც,—ის დონ-ჰოზესაგან, რომელსაც პირველი გაგიყვით უყვარს, გულ-გავმირული ეცემა. საქმე კერძო შურის მიზანში კი არ არის, არამედ საერთო აუცილებელ ისტორიულ მიზნით ღაცისკროვნებულ მოქმედებაში. მუსიკა შესანიშნავია, განსაკუთრებით ზნდა აღინიშნოს „სიკვდილის მოტივი“, რომელიც კარმენს პირველ მოქმედებიდან დასდევს და უკანასკნელ მოქმედებაში ტონთა ზღვათ იქცევა და ქალის გულის გავმირვით თავღება და დონ-ჰოზეს არია მეორე მოქმედებაში, თამაშის და სიმღერის მხრივ აღსანიშნავი არიან: ლავროვის ქალი—უმთავრეს როლში, სევასტიანოვი—დონ-ჰოზე და ევლანიშვილი—თორეადორი.

მ.—წილი.



ტ ა ფ ბ ი.

ამერიკის ახლად არჩეული პრეზიდენტი.
(რესპუბლიკანელთა პარტიას ეკუთვნის).

მწერლობა და მწერლები.

— ბერმანიში ამ ქამად დიდი მასავალი აქვს თურმე ოტ-ტო ჰაუზერის ახალ რომანს „სინიზას“.
— ერმენვილში, საცა 1778 წელს გარდაიცვალა ქანქარუსსო, ამ დღებში აკურთხეს იმისი ძველი. ძველის ფული ხელის მოწვრით შეაგროვეს.
— დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი წიბნი ჰესენისა— იროვნების ხელშეუხებლობის შესახებ“.

რედაქტორ-გამომცემელი მ. ი. მარკოზოვი.

თეატრი და მუსიკა

სახაზინო თეატრი. ოპერა „კარმენი“. „კარმენი“ საზოხადლოთ ცნობილია, რომორც შესანიშნავი ოპერა და სწორეთ ღირსია ასეთ სახელისა. ეს არის ისტორია ქალისა, რომელიც მამაკაცების დამორჩილებაში, —მამაკაცების ნაძღვილი წარმომადგენლების თავისი სქესისა,—ხედვს თავის ცხოვრების დანიშნულებას; ეს ტრაგედია კაცობრიობის მთელი ისტორიისა: